ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1. იანვარი. 2014.

ნათლისღება

ტროპარი: რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

კონდაკი: განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო აწ მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სამდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწევნისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ.

ტემპუსის პროექტი უმაღლესი განათლების მართვის პრინციპებზე

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში. აღნიშნული პროექტები ძირითადად ემსახურება გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან მიახლოებას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ გაცვლებს, ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს.

ტემპუსის საგრანტო პროექტის **„530311-TEMPUS-1-2012-1-AM-TEMPUS-JPCR: MAHATMA“** დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ 2012 წელს, სამი წლის ვადით.

პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთში განათლების რეფორმებისთვის მხარდაჭერა უმაღლესი განათლების მენეჯმენტში ახალი სამაგისტრო პროგრამისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შემუშავების გზით.

პროექტის კოორდინატორია სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

პროექტის გუნდი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილია 7 წევრით: პროექტის კოორდინატორი - ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე, მკვლევრები: რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი ნათელა წიკლაშვილი, მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი ვლადიმერ ბალაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორები გული შერვაშიძე, ლელა თავდგირიძე, ასისტენტ პროფესორი ნანა მაზმიშვილი, დოქტორი ნინო მიქელაძე.

როგორც ცნობილია, საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებიდან გამომდინარე შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მართვის პრინციპები. აღნიშნულ სფეროში დასაქმებული პირები დადგნენ ახალი გამოწვევების წინაშე: აითვისონ და ფლობდნენ ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის დარგობრივ სპეციფიკას, მისი განვითარებისთვის ხელშემწყობ ღონისძიებებს, შეეძლოთ არსებული რისკების ამოცნობა-ანალიზი და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. დასაქმების ბაზარზე სადღეისოდ დიდი მოთხოვნაა მსგავსი კომპეტენციების მქონე პიროვნებებზე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დადგა ამოცანა უზრუნველყოს რეგიონში არსებული უსდ-ბი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრებით.

პროექტის ფარგლებში, ევროპელი პარტნიორებთან კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა სამაგისტრო პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მენეჯერების მომზადება. პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ ყველა იმ კომპეტენციას, რაც აუცილებელია ეფექტური მართვისთვის, ლიდერობისა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებისათვის. მათ გააზრებული ექნებათ ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ეფექტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს ორგანიზებისთვის.

პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება, აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი მენეჯერი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი პიროვნება.

აღნიშნული პროექტის ეგიდით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 24-26 იანვარს, სამდღიანი ტრენინგი გაიმართა თემაზე: “ორგანიზაციული მენეჯმენტი”. ეკონომიკის დოქტორმა კონსტანტინე მეგრელიშვილმა აჭარის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები გააცნო. ასევე ისაუბრა მენეჯმენტში საერთაშორისო გამოცდილებასა და თანამედროვე მიღწევებზე.

ამავე პროგრამით თებერვლის დასაწყისში დაგეგმილია აგრეთვე ტრეინინგი, თემაზე: სწავლება/სწავლის მეთოდები უმაღლეს განათლებაში, რომელსაც განათლების დოქტორი, პროფესორი ლელა თავდგირიძე ჩაატარებს.

პროგრამის გუნდი აპირებს უმაღლესი განათლების აქტუალურ საკითხებზე მსგავსი ტრეინინგების ჩატარება ტრადიციად აქციოს.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ! დაიწყო შიდა მობილობის პროცესი

1. ფაკულტეტის შეცვლის მსურველმა ბსუ–ს სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
4. სტუდენტის სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ

საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 3 თებერვლიდან 7 თებერვლის ჩათვლით.

მისამართი: ნინოშვილის ქუჩა №35,

ოთახი №1 (კანცელარია).

2. ბსუ–ში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველმა სტატუსშეჩერებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების ბრძანების ასლი;
4. სტუდენტის სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
5. სავალდებულოა სტუდენტთა რეესტრში დარეგისტრირება, როგორც შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტი (ამისათვის მიმართეთ შესაბამის ფაკულტეტს);

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული პირის აღდგენა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრულად იქნება დაფარული ფინანსური დავალიანება და აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ცნობა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 27 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

მისამართი: ნინოშვილის ქუჩა №35,

ოთახი №1 (კანცელარია).

3. ბსუ–ში აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველმა სტატუსშეწყვეტილმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

6. განცხადება;
7. პირადობის მოწმობის ასლი;
8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების ასლი;
9. სტუდენტის სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
10. სავალდებულოა სტუდენტთა რეესტრში დარეგისტრირება, როგორც შეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტი (ამისათვის მიმართეთ შესაბამის ფაკულტეტს);

ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული პირის აღდგენა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრულად იქნება დაფარული ფინანსური დავალიანება და აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ცნობა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 3 თებერვლიდან 7 თებერვლის ჩათვლით.

მისამართი: ნინოშვილის ქუჩა №35,

ოთახი №1 (კანცელარია).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/2

20 იანვარი 2014 წ. ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი-ს, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის (სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტის შეცვლის ან სტატუსშეწყვეტილის აღდგენის) ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2014 წლის 3 თებერვლიდან - 7 თებერვლის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2014 წლის 12 თებერვლის ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2014 წლის 13 თებერვალი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა - 2014 წლის 14 თებერვალი.

ე) ჩარიცხვის ბრძანების წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2014 წლის 25 თებერვალის ჩათვლით პერიოდში.

2. განისაზღვროს სტატუსშეჩერებული სტუდენტების სასწავლო პროცესში დაბრუნების ვადები შემდეგნაირად:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2014 წლის 27 იანვრიდან - 31 იანვრის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2014 წლის 5 თებერვლის ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2014 წლის 6 თებერვალი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემა - 2014 წლის 7 თებერვალი.

ე) ჩარიცხვის ბრძანების წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2014 წლის 25 თებერვალის ჩათვლით პერიოდში.

3. ფინანსური დავალიანების გამო 2014 წლის იანვარში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებს მათივე განცხადების შესაბამისად მიენიჭოთ უფლება გავიდნენ 2013-2014 სასწავლო წლის ზამთრის საგამოცდო სესიაზე.

4. დამტკიცდეს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის/აღდგენის წესი (დანართი 1);

5. დაევალოს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს ბსუ-ში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის/აღდგენის კოორდინირება;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

რექტორის მოადგილე,
ასოც. პროფესორი ი. ბარამიძე

დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 20 იანვარის 0108/2 ბრძანებით

დანართი 1

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის/ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ბსუ-ს სტუდენტთა მობილობას ბსუ-ს ფაკულტეტებს შორის (შიდა მობილობა).

2. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად მობილობის ფარგლებში ხორციელდება ასევე ფინანსური დავალიანების /აკადემიური შვებულების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული, ასევე სტატუსშეწყვეტილი პირების აღდგენა (სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვება).

3. შიდა მობილობის /აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მომართოს ბსუ-ს რექტორს. განცხადებების წარმოდგენისა და განხილვის ვადები განსაზღვრულია წინამდებარე ბრძანებაში.

4. **აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა** (სტატუსშეჩერებულმა/სტატუსშეწყვეტილმა პირებმა) რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;

5. **ფაკულტეტის შეცვლის მსურველმა** ბსუ-ს სტუდენტებმა წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;

დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

6. რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განცხადებები განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. მიმღები ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს დასკვნას მობილობის/აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა, შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ, ბსუ-ში მიღებული კრედიტების ცნობის წესის შესაბამისად. თავსებადობის დასკვნები გადაეცემა სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს.

7. თუ შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა ფაკულტეტებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, მაშინ ბსუ უფლებამოსილია მობილობის მსურველებს შესაბამის ფაკულტეტებზე ჩაუტაროს შესარჩევი გამოცდა.

8. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს გასაუბრება.

9. სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი შეიმუშავებს მობილობის/აღდგენის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტს.

10. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეწყვეტილი/სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა/სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე სრულად დაფარავს ფინანსურ დავალიანებას.

11. ბსუ-ში შიდა მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტსა და ბსუ-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !
დაიწყო გარე მობილობის პროცესი

სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან ბსუ-ი გადმოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნოტარიულად დამოწმებული);
4. სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
5. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;
6. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
7. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
9. დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით.

საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 14,15 და 17 თებერვალს;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/3

20 იანვარი 2014 წ. ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებიდან გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და საბუთების მიღება/განხილვის ვადების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის, მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 17 იანვრის №29 ბრძანების, 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 იანვრის №3 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 7 ივნისის №01-08/21 ბრძანების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებიდან გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესი და საბუთების მიღება/განხილვის ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2014 წლის 14,15 და 17 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარება - 2014 წლის 18 თებერვლის ჩათვლით;

გ) სტუდენტებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა - 2013 წლის 19 თებერვალი;

დ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 21 თებერვლის ჩათვლით.

2. მობილობა განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2014 წლის 20 იანვრის 01-08/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის წესის შესაბამისად;

3. დაევალოს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს ბსუ-ში 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის კოორდინირება;

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

რექტორის მოადგილე,
ასოც. პროფესორი ი. ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მნიშვნელობა და საქმიანობა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რსუ) ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი არის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამართალმემკვიდრე.

საქართველოს ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტი (წარსულში მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტი) 1991 წლის 22 მაისს დაარსდა ფიტოპათოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბაზაზე, რომელიც ქობულეთში 1959 წლიდან ფუნქციონირებდა.

1964 წელს შეიქმნა ფიტოპათოლოგიის, ბიოლოგიური კონტროლის, მიკროორგანიზმების სელექციისა და გენეტიკის, ჰერბიციდების, ტოქსიკოლოგიისა და ფუნგიციდების ლაბორატორიები. 1970 წელს კი საველე სადგური ჩამოყალიბდა დაბა წაღვერში.

საბჭოთა პერიოდში ლაბორატორიებში სტრატეგიული მნიშვნელობის, მაღალვირულენტური და განსაკუთრებით მავნე სოკოვანი პათოგენების კვლევა მიმდინარეობდა. ფიტოპათოლოგიის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი იყო საქართველოში პირველი სამეცნიერო დაწესებულება, სადაც დაიწყო მარცვლოვანთა პათოგენების პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურის კვლევა, მაღალვირულენტური რასების მიმართ გამძლეობის ეფექტური წყაროების მოძიება და გამოცდა, პერსპექტიული ფუნგიციდების და ჰერბიციდების სკრინინგი.

ქობულეთის გარემო პირობები უნიკალურია საველე ცდების ჩასატარებლად, რაც განპირობებულია საცდელი კულტურების კომერციული ნათესებისგან ბუნებრივი იზოლაციით და მცენარეთა პათოგენების ზრდისათვის ხელსაყრელი ნოტიო და თბილი კლიმატით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინსტიტუტი საქართველოს სახელმწიფოს გადაეცა, მთავრობის დადგენილებით მას კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭა და ეწოდა საქართველოს ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტი.

2006 წლიდან ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის 185 დადგენილების საფუძველზე, 2011 წლის იანვრიდან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა და „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაითვალა სსიპ ,,ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის (მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტის) უფლებამონაცვლედ.

ფიტოპათოლოგიის მიმართულებით კვლევების მიზანია განხორციელდეს კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. მიმდინარეობს გამოყენებითი ხასიათის კვლევები. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია: საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო და სხვა, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კულტურების ფიტოსანიტარული მონიტორინგი და დიაგნოსტიკა, მიკოლოგია, ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია, პოპულაციური გენეტიკა, იმუნოლოგია, კულტურათა კოლექცია, მოლეკულური ბიოლოგია.

ფიტოპათოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია ქვეყანაში გავრცელებული დაავადებების სახეობრივი შემადგენლობის შესახებ, შემდგომში კი პოპულაციურ-გენეტიკური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები პათოგენთა შიგასახეობრივი სტრუქტურის (რასები, შტამები, პათოტიპები) შესახებ და დამამთავრებელ ეტაპზე ამ ორი კვლევის შედეგების (კულტურათა კოლექცია) გამოყენება სასელექციო მასალის იმუნოლოგიური შეფასებისას, მთელი სელექციური პროცესის განმავლობაში მიზნად ისახავს გამძლე ჯიშების მიღებას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის ბიოუსაფრთხოებასა და სასურსათო თავდაცვისუნარიანობას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ, მცენარეთა მავნე ორგანიზმების ზემოქმედების შემცირებას, მოსავლიანობის ზრდას და ქვეყნის ეკონომიკის დონის ამაღლებას.

ფიტოპათოლოგიური კვლევები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რადგან საქართველო წარმოადგენს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს, რაც სხვადასხვა ტვირთთან ერთად, მიკროორგანიზმების აქტიურ გადაადგილებასაც განაპირობებს, იზრდება ჩვენში საკარანტინო ობიექტების შემოტანისა და გავრცელების რისკი და ჩნდება საზღვრებთან და პორტებთან მკაცრი ბიოლოგიური კონტროლის დაწესების აუცილებლობა.

ინსტიტუტის თანამშრომლები საქართველოს სსიპ ,,შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დაკვეთით (ხელშეკრულება №1/186, 21.03.2013) საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ახორციელებენ საქართველოში სხვა ქვეყნებიდან (ნიდერლანდები, იტალია, გერმანია, თურქეთი, ისრაელი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ინდოეთი, საფრანგეთი და სხვ.) იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სარგავი მასალის ანალიზს საკარანტინო დაავადებების გამოვლენის მიზნით. 2013 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზების შედეგად ტვირთების მნიშვნელოვან ნაწილში აღმოჩენილი იქნა კარტოფილის და სხვა კულტურების საკარანტინო დაავადებები.

2013 წლის 19 აგვისტოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი მოინახულეს რუსეთის ფედერაციის მცენარეთა კარანტინის ცენტრის ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებმა, რომლებიც გაეცნენ ინსტიტუტში ფიტოპათოლოგიის კუთხით მიმდინარე კვლევებს. დაათვალიერეს ლაბორატორიები. გამოთქვეს ურთიერთთანამშრომლობისა და საერთო პრობლემებზე ერთობლივი მუშაობის სურვილი, რაც ასევე უშუალოდ შეეხება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სასოფლო-სამეურნეო



პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს. აღნიშნული სამსახური ,,ოქროს რთველთან დაკავშირებით 2013 წლის შემოდგომითაც იმყოფებოდა რეგიონში და ციტრუსის ექსპორტის საკითხებზე აქტიურად თანამშრომლობს.

მიმართულება თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან: ხორბლისა და სიმინდის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრი **(CIMMYT)**, მშრალი რეგიონების სასოფლო - სამეურნეო კვლევების საერთაშორისო ცენტრი **(ICARDA)**, დიდი ბრიტანეთის სურსათისა და გარემოს კვლევის სააგენტო **(FERA)**, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია **(FAO)**, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი **(ISTC)** და სხვა.

განხორციელდა და მიმდინარეობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში 2004 წლიდან მიმდინარეობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრისა **(ISTC)** და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს საპარტნიორო პროექტები: 2004-2008 წწ - „მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება საქართველოში დაავადებებისადმი გამძლეობის დონის ამაღლების, საკარანტინო დაავადებების შესწავლისა და კულტურათა ნაციონალური კოლექციის შექმნის გზით **G 1093 p**; 2009-2011წწ - „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა: სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაუმჯობესება მათი დაავადებებისადმი გამძლეობის დონის შესწავლის გზით საქართველოში და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში **G-1775ბ**; მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარტნიორი დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსა და კოლაბორატორი დიდი ბრიტანეთის ცენტრალური სამეცნიერო ლაბორატორიის **(Central Scientific Laboratory York, UK)** დახმარებით შესაძლებელი გახდა კვლევების ხარისხობრივად მაღალ, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელება, საზღვარგარეთის წამყვან ცენტრებში ტრენინგების გავლის გზით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (11 მეცნიერ?ანამშრომელმა აიმაღლა კვალიფიკაცია), ლაბორატორიების თანამედროვე აპარატურით აღჭურვა, მოლეკულური ბიოლოგიის კვლევის უახლესი მეთოდების ათვისება.

კვლევების შედეგების წარდგენა ინტენსიურად ხდება საერთაშორისო კონფერენციებზე: საქართველოში, იტალიაში, აშშ-ში, თურქეთში, მექსიკაში, შვეიცარიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, რუსეთში, სირიაში, ყაზახეთში, ჩინეთში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში.

ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაფუძნდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ბაზაზე.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის 176 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რეორგანიზაციის გზით 2010 წლის 1 იანვარს შეუერთდა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც ბიომრავალფეროვნების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

2011 წლიდან ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რეორგანიზებული უკვე როგორც ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება და ფიტოპათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სამი განყოფილებით შევიდნენ სსიპ რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის შემადგენლობაში, როგორც ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო მიმართულება (2011 წლის 18 თებერვლის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2 გადაწყვეტილება), ხოლო 2013 წლის იანვრიდან სამეცნიერო ცენტრის გაუქმე-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მნიშვნელობა და საქმიანობა

(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

ბის გამო, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სტატუსით.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები (7 აკადემიური დოქტორი და 3 დოქტორანტი), ქობულეთში, ფიტოპათოლოგ კოლეგებთან ერთად მუშაობენ ბიომრავალფეროვნების კვლევისა და დაცვა-შენარჩუნების საკითხებზე. განყოფილებაში მუშავდება 4 სამეცნიერო-კვლევითი თემა:

1.სუბტროპიკული ხეხილოვნების არსებული და ახალინტროდუცირებული სახეობების სელექციურ - გენეტიკური შესწავლა მათი გენოფონდის შენარჩუნების, პერსპექტიული ჯიშების გამოვლენისა და შემდგომი გამოყენების მიზნით.

2.ინვაზიური (ადვენტური) მცენარეები აჭარაში.

3.აჭარის ზღვისპირეთის ფლორის ანტიმიკრობული თვისებების შესწავლა.

4.შავი ზღვისა და ლანდშაფტების იხტიოფაუნისა და ძუძუმწოვრების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, დაცვა-მონიტორინგი და მენეჯმენტი, **IN-SITU** კონსერვაცია.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები საშუალებას გვაძლევს გამოვლენილი იქნას სუბტროპიკული და ენდემური ხეხილოვნების პერსპექტიული ჯიშები და ფორმები, შეიქმნას მონაცემთა ბაზა, მოეწყოს საკოლექციო ნაკვეთი, სადაც მოხდება სუბტროპიკული და ენდემური ხეხილოვნების პერსპექტიული, იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი ჯიშებისა და ფორმების კონსერვაცია ჯიშობრივი სიწმინდის დაცვისა და გენოფონდის შენარჩუნების მიზნით; აღრიცხულ იქნას აჭარის შავი ზღვის სანაპიროს ადვენტური მცენარეები, შეფასდეს მოსალოდნელი რისკები ადგილობრივ ველურ და კულტურულ ფლორასთან მიმართებაში, მოხდეს ახალი ინვაზიური პროცესების პროგნოზირება; გამოირჩეს ანტიმიკრობული თვისებების მიხედვით აჭარის ზღვისპირეთის ფლორის სახეობები და შემუშავდეს მათი გამოყენების რეკომენდაციები დეკორატიულ მებაღეობაში, სოფლის მეურნეობასა, ფიტოთერაპიაში და სხვა.

ბიოლოგიური დარგის ამ ორი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გაერთიანებამ ერთ სამეცნიერო მიმართულებაში დადებითი შედეგი გამოიღო არა მარტო სამეცნიერო თემატიკის კოორდინაციაში და ეფექტურად შესრულებაში, არამედ კოლეგიალიზმის ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო სპექტრის გაფართოებაში. ბიომრავალფეროვნებისა და ფიტოპათოლოგიის სპეციალისტებს პირველად მიეცათ უნიკალური საშუალება ერთობლივად და კომპლექსურად იმუშაონ ჩვენი რეგიონისა და მთლიანად ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ბზის მცენარის დაავადება (ე.წ. სიდამწვრე). ამ დაავადების შესწავლა და მასთან ბრძოლის ღონისძიებების დამუშავება უნდა მოხდეს მცენარის განვითარების ფაზებთან დინამიკაში, სადაც აუცილებელია ბოტანიკოსებისა და ფიზიოლოგების მონაწილეობა.

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრში ინტეგრაციის შემდეგ სარგებლობაში გადმოეცა ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის კუთვნილი 39, 9035 ჰა მიწის ფართობი (მათ შორის ქობულეთში - 37, 2885 ჰა, ბორჯომის რ-ის დაბა ნაღვერში - 2,6150 ჰა), ადმინისტრაციული შენობა, სამეცნიერო კორპუსი, სათბურები, დამხმარე ნაგებობები, რაც აჭარის არ მთავრობისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული იყო სრულიად სამეცნიერო ცენტრის განვითარებისთვის ქობულეთში (2011 წელი, სექტემბერი).

ფიტოპათოლოგიური კვლევებისათვის აღნიშნული ტერიტორია სპეციალურად არის შერჩეული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. სამეცნიერო კვლევებიდან გამომდინარე, სამეცნიერო მიმართულების ლაბორატორიები ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონეებს მიეკუთვნება, ვინაიდან, მცენარეთა პათოგენები, რომლებზეც მიმდინარეობს მუშაობა, წარმოადგენენ მე-2 და მე-3 რისკის ჯგუფებს. მიკროორგანიზმების გავრცელება წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობისა და გარემოსათვის. შესაბამისად, ლაბორატორიებში, საცდელ ნაკვეთებსა და ინსტიტუტის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება აკრძალულია.



საგანგაშოა ის ფაქტი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 7 ივნისის 132 ბრძანებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიწები, მასზე მიმაგრებული შენობა-ნაგებობებით და კომუნიკაციებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, საკუთრებაში გადაეცა შპს ,,ისპანს. 2012 წლის 11 ივნისს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 3.2 მუხლის ,,კ' ქვეპუნქტის თანახმად, შპს ,,ისპანს უნივერსიტეტისთვის უსასყიდლოდ, განსაზღვრული შენობა-ნაგებობებისა და მასზე მიმაგრებული მიწის გარკვეული ნაწილის დროებით სარგებლობაში დატოვების ვალდებულება მხოლოდ 3 წლის ვადით აქვს აღებული. მოგეხსენებათ, რომ კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას სტაბილური გარემო ესაჭიროება, ხოლო ჩვენ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებით უკვე წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ჩვენს გულისტკივილს იწვევს ისიც, რომ ინსტიტუტის თანამედროვე აპარატურით აღჭურვისა და კვლევების გაფართოების სურვილით დაინტერესებული არიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მაგალითად, **CBA-G** (საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაძლებლობის გაძლიერების) პროექტის ფარგლებში შვედეთის მხარემ ინსტიტუტის კვლევებისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის მდგომარეობის შესახებ დიდი ინტერესი გამოხატა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებაში განხორციელებული იყო საერთაშორისო პროექტები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 1 207 583 ამერიკულ დოლარს, რომლის ძირითადი ნაწილი მოხმარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობას, კვლევების თანამედროვე მეთოდების ათვისებასა და გადაიარაღებას. პროექტების განხორციელება დაიწყო უცხოელი დონორების მიერ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ იყო კომუნიკაციის საშუალებები (დენი, ელფოსტა, ინტერნეტი, წყლის უწყვეტი მიწოდება და ა.შ.) და კვლევებისთვის ელემანტარული პირობები. ძნელი წარმოსადგენია, რომ არა რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ამ კვლევების შედეგებისადმი, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრს ჩაედო ასეთი დიდი შრომა, ენერგია და თანხა ქობულეთში, სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამომავლოდ თანამედროვე კვლევებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

კიდევ ერთხელ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ინსტიტუტის თანამშრომლები საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დაკვეთით კვლევის მიკრობიოლოგიური და მოლეკულური ბიოლოგიის თანამედროვე მეთოდებით ახორციელებენ საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოწმებას. დღემდე ჩატარებული ანალიზების საფუძველზე აღმოჩენილი იქნა ისეთი საკარანტინო დაავადებები, როგორებიცაა კარტოფილის მურა სიდამპლე, კარტოფილის კიბო და სხვა.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2012 წლის კონკურსში მაღალი შეფასება მისცა და დააფინანსა ინსტიტუტიდან წარდგენილი პროექტი: ,,მცენარეთა დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმების ეროვნული კოლექციის შექმნა. ეს არის ქვეყნის ბიოუსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი თემა და მის შესრულებას, ინსტიტუტის დანარჩენ სამეცნიერო - კვლევით თემებთან ერთად, სათანადო სტაბილური ბაზა ესაჭიროება.

მას შემდეგ, რაც 2011 წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტი ბათუმის უნივერსიტეტს შეუერთდა, იგი აგრეთვე გახდა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადების საუნივერსიტეტო ბაზა.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი მთავრობა გულისხმიერად განიხილავს ჩვენს პრობლემას და ინსტიტუტისთვის გამოიყოფა ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მუდმივი ადგილი სათანადო ინფრასტრუქტურით და გარკვეული მიწის ფართობით. საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინსვლისთვის აუცილებელი დარგის - ფიტოპათოლოგიის შემდგომ განვითარებას და ჯერ კიდევ არსებული სპეციალისტების ცოდნისა და გამოცდილების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენებას.

გურამ მემარნე,
ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - რეალობა და პერსპექტივა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სამართალმემკვიდრე (1991 წლიდან 2006 წლამდე არსებობდა) ჩამოყალიბდა იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების რეორგანიზაციის საფუძველზე 2006 წელს. დღეისათვის ის არის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შემადგენლობაში. დეპარტამენტში ხორციელდება ერთი საბაკალავრო საგანმანათლებლო (სამართალმცოდნეობის) და ერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო (სისხლისა და საჯარო სამართლის მიმართულებით) პროგრამა. იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ისტორია ბევრჯერ დაიწერა, ამიტომ დღეს განვლილ ეტაპებს არ შევეხებით და შევეცდები წარმოვსახოთ არსებული რეალობა, დასახული მიზნები და განვითარების პერსპექტივა.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი უნივერსიტეტში ერთ?რთი დიდი დეპარტამენტია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს 375, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 55 სტუდენტი, სულ 430 სტუდენტია აღრიცხული. ჩვენთან საქმიანობს 15 აკადემიური პირი და 26 მოწვეული სპეციალისტი, სულ 41 პროფესორ-მასწავლებელი.

დეპარტამენტს 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა პროფესორი ომარ მახარაძე, 2008 წლიდან პროფესორი მურმან გორგოშაძე, 2013 წლიდან სათავეში ჩაუდგა პროფესორი ომარ ფარტენაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, როგორც სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სასწავლო-აკადემიური და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, ახორციელებს რა ფაკულტეტის დებულებიდან გამომდინარე სასწავლო-აკადემიურ, მეთოდურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას უზრუნველყოფს სამართალმცოდნეობის მიმართულებით სტუდენტების მომზადებას. დეპარტამენტში საქმიანობა წარიმართება შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

I. სასწავლო-აკადემიური საქმიანობა

სასწავლო პროგრამები (კურუკულუმი) და სასწავლო კურსების გეგმები (სილაბუსები) შედგენილია განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით და სავსებით შეესაბამება დეპარტამენტის წინაშე დასახული ამოცანის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, შესრულებას.

დაგეგმილია, ყოველწლიურად, სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულებთან შეხვედრები, რომლის მიზანიც არის მათი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განახლების პროცესში ჩართვა. ასევე დაგეგმილია კურსდამთავრებულთა ასოციაციის დაფუძნება.

საჯარო გამოსვლებისა და კრიტიკული აზროვნებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ლექცია-სემინარების (ჯგუფში მუშაობის) გარდა ტარდება დისკუსიები, დებატები და პაექრობანი სხვადასხვა თემაზე. ამისათვის დეპარტამენტთან არსებობს საიმიტაციო სასამართლო დარბაზი, სადაც ასევე იმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები „სწავლებაკეთებით“ მეთოდის გამოყენებით.

განსაკუთრებული ღირსების გრძნობით მინდა აღვნიშნო ჩვენი სტუდენტების წარმატებული გამოსვლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ოლიმპიადაზე ახალგაზრდა იურისტი კონსტიტუციური უფლებებისთვის, სადაც მესამე კურსის სტუდენტები თამარ სურმანიძე და გიგა ფარტენაძე საკონსტიტუციო სასამართლოს რჩეულ გუნდად დასახელდა. ისინი დაიტოვეს სასამართლოში სამ თვიან ანაზღაურებად სტაჟირებაზე.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტთან მოქმედებს იურიდიული კლინიკა, სადაც იურისტისათვის დამახასიათებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით ტარდება მეცადინეობები პრაქტიკოს ადვოკატებთან ერთად. კლინიკასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებს სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში უფასოდ მოემსახურებიან ჩვენი სტუდენტები.

დაგეგმილი გვაქვს 2014 წლიდან კრიმინალისტიკური ლაბორატორიის გახსნა. ინტენსიური სამუშაოები ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს.

II. სტუდენტთა მომავალი დასაქმებისათვის გაწეული საქმიანობა

სტუდენტთა მიერ გაკეთებული არჩევანის განმტკიცებისა და მომავალი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით დაგეგმილი გვაქვს შემდეგი შეხვედრები და ექსკურსიები:

ა) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიაში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის მტავარი სამმართველოს წარმომადგენლებთან;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;

დ) იუსტიციის სახლში;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურის წარმომადგენლებთან;

ვ) აჭარის პროკურატურის წარმომადგენლებთან;

ზ) აჭარის მთავრობის წარმომადგენლებთან;

თ) აჭარის უმაღლეს საბჭოში.

III. სტუდენტთა შემოქმედებითი და სპორტული ხასიათის ღონისძიებანი

პროფესორ ომარ ფარტენაძის ინიციატივით 1996 წელს დაარსდა იურისტის დღე, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 25 მაისს. ამ დღისადმი მიძღვნილია სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონისძიება

ჩატარდება ექსკურსიები საქართველოში არსებული ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად და ჩვენი კუთხეების უკეთ გაცნობის მიზნით.

IV. სამეცნიერო საქმიანობა

სამეცნიერო საქმიანობაც ორი მიმართულებით წარიმართება, სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობა და პროფესორ - მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობა. სტუდენტებს დაურიგდათ თემატიკა მომავალი სამეცნიერო კონფერენციისა და სარეფერატო კონკურსისათვის, რომლებიც მეორე სემესტრში გაიმართება.

სისტემატურად ტარდება იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტთან არსებული სამეცნიერო კლუბის (მეცნიერ ხელმძღვანელი პროფესორი ომარ ფარტენაძე) სხდომები, რომლებზეც ხდება სტუდენტთა სარეფერატო და სამეცნიერო კონფერენციებზე წარსადგენი მოხსენებების შეფასება-შერჩევა.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი მუშაობს და იკვლევს ქართული სამართლის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებს. ჩვენი აზრით, კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოში სამართლებრივი რეფორმის განხორციელებასა და სამართლის სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

2014 წლიდან დაგეგმილია დეპარტამენტთან სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „სამართლის მაცნე“ დაარსება და გამოცემა.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ გამოცდების ეროვნული ცენტრის (naec.ge) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, 2013 წლის მონაცემებით რსუ-ს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 17 სამართლის პროგრამას შორის, პირველი განაცხადების მიხედვით, ყველაზე მაღალი კონკურსის მქონე პროგრამა აღმოჩნდა, ესე იგი, ჩვენი პროგრამა საქართველოში ყველაზე მეტად მოთხოვნადია.

სპეციალობის თავისუფალი განვითარებისა და წინსვლისათვის აუცილებელია იურიდიული ფაკულტეტის ცალკე არსებობა, როგორც პერსპექტიული, მოთხოვნადი და რეგულირებადი სპეციალობა, უნდა არსებობდეს დამოუკიდებლად. ამ მხრივაც დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

შევეცადე მოკლედ გადმომეცა იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის წინაშე დასახული ის მიზნები და გეგმები, რომლის განხორციელების დიდი სურვილი გაგვაჩნია და რომლის შემდეგაც გადავალთ განვითარების ახალ ეტაპზე.

ომარ ფარტენაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

ადამიანები იბადებიან, იზრდებიან და ბერდებიან...

ქველმოქმედება ამ ქვეყნად ყველაზე კეთილი საქმეა. სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის 26 დეკემბერს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დაწყებითი სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებმა კურსის კურატორთან, ასისტენტ-პროფესორ დარეჯან გელაძესთან ერთად მოვაწყვეთ აქცია ბათუმის წმინდა ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანეში.

ჩვენ მოხუცებს ტკბილეული მივართვით, სპეციალურად მათთვის მომზადებული გასართობი პროგრამით ვეწვიეთ და მივულოცეთ დამდეგი შობა-ახალი წელი.

ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სავანე დაარსდა 1995 წელს 5 მარტს, მეუფე დიმიტრის ძალისხმევით, ამჟამად დაწესებულების ხელმძღვანელია მამა იოანე ბარამიძე. სავანეში ფუნქციონირებს წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძარი, სადაც ყოველ შაბათ-კვირას აღევლინება წირვა-ლოცვა. ამ დროისათვის სავანეში 115 ხანდაზმული ცხოვრობს.

სათნოების სავანეს მიზანია მზრუნველობა არ მოაკლდეს მიუსაფარ მოხუცებს, რომლებსაც თანადგომა სჭირდებათ. აქ შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მათ თავი იგრძნონ კარგად, მოიპოვონ სულიერი სიმშვიდე და ოჯახური სითბო.

ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს. ისინი თვალზე ცრემლმორეულნი იხსენებდნენ თავიანთ წარსულს.

გოგიტიძე ნათელა - 69 წლისაა. ის ექვსი შვილის დედაა. მას გარდაცვლილი ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ამბობს, რომ სათნოების სახლში შვილებთან უკმაყოფილების გამო ცხოვრობს. აქ კი მან იპოვა სითბო და თანადგომა. მისი სურვილია დედის ამაგი არავინ დაივიწყოს.

კონსტანტინე ბუიღლიშვილი 53 წლისაა, ჰყავს 2 შვილი — ქალ-ვაჟი. ორივენი დაოჯახებულები არიან. მეუღლე ყოველ სამ დღეში ნახულობს, ხშირად ეკონტაქტებიან შვილები და შვილიშვილები. ინსულტის შედეგად შეზღუდული აქვს მოძრაობის უნარი. მას ერთადერთი ნატვნა აქვს, შეძლოს ფეხზე დადგომა.

ბერიკი კომახიძე 51 წლისაა. იგი მეცხრე ახალ წელს ხვდება სათნოების სახლში. მას ერთი გოგონა და ორი შვილიშვილი ჰყავს. მამა-შვილი ტელეფონით ხშირად საუბრობენ, ფიზიკურად კი 9 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მისი საახალწლო ნატვრაა — ნახოს პირველი შვილიშვილი.

თითოეული მათგანი აქ ახლობლებმა მოიყვანეს, მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ მათ გამართლებას და ყოველთვის სითბოთი იხსენებენ. რა გინდ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ზოგიერთები ამაყობენ კიდეც შვილების წარმატებებით.

მოხუცებულობა სიცოცხლის ბოლო ეტაპია და გამორჩეული იმითაა, რომ ამ დროს უკვე შეიძლება გადახედო შენს წარსულს და ნახო, თუ როგორი იყო შენი ცხოვრების აზრი და მიზანი, როგორ შეასრულე უფლის მიერ დაკისრებული მოვალეობა.

მოხუცების მეტყველი თვალები ცდილობენ მუდამ სითბო გასცენ. დანაოჭებული შუბლი გვამცნობს, რომ მათში თავი მოუყრია ცხოვრების გამოცდილებას, რომ ისინი სხვებზე უკეთ იცნობენ ამ წუთისოფელს, ეს არის ეტაპი, როცა ადამიანი ღმერთთან სიახლოვეს უკეთ გრძნობს და ყველაზე მეტად აფასებს სიცოცხლეს, მის ყოველ დღეს, წუთსა და წამს.

სათნოების სახლში მცხოვრები მოხუცები განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებენ მამა იოანეს.

ნუთუ რთულია გამოვხატოთ სითბო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ცხოვრება ჩვენს აღზრდასა და მზრუნველობაში გაატარეს?

ჩვენ აუცილებლად დავბერდებით!

მარიამ კამკამიძე
ხატია მემარნე

26 იანვარი (8 თებერვალი) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა

ჯემალ კარალიძე

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უხვად გვყავს ქვეყნისათვის თავდადებული მეფეები, რომელთა ნიჭმა და თავგანწირვამ განსაზღვრა ქართველ ერს გაეძლო ურთულესი განსაცდელისათვის. არა მარტო გაეძლო და გადარჩენილიყო, არამედ შეექმნა მდიდარი და თვითმყოფადი კულტურა. ქართველ მეფეთა კაბადონზე განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩევა დავით IV აღმაშენებელი.

აღმაშენებელი-ეს საპატიო წოდება საქართველოს ისტორიაში მხოლოდ დავით IV ხვდა წილად. თუ რატომ, ასე ხსნის ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერი. ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“. ვფიქრობთ ღრმა და ყოველმხრივ ამომწურავი პასუხია გაცემული. „აღმაშენებელი“ პირველად წყაროში გვხვდება XV ს-დან, კერძოდ 1452 სასისხლო დოკუმენტში — ავშანდაძეებისადმი ნათქვამია, რომ „როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა“, გადმოვარდნილა, დამტვრეულა და ავშანდაძეებს მოურჩენიათ.

XI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურად დაქვეითებულ და პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს მოევლინა პიროვნება, რომელმაც მოახერხა დაქსაქსული მოსახლეობის შეკავშირება, მომხდური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმავლობის გზაზე დაყენება. დავითი გარეგნული ნიშნებითაც ხიბლავდა ყველას — „იგი შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისთა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა“ — ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ბუნებამ ადამიანის ფიზიკური და გონებრივი სიკეთის უნივერსალური შერწყმა მოახდინა. დავითის გამეფებას მოჰყვა დიდი გარდაქმნები და აღმშენებლობა. XII საუკუნის პირველი მეოთხედის პოლიტიკურად გაერთიანებული და გაძლიერებული საქართველოს ეკონომიკა და კულტურა ჭეშმარიტად აღმშენებლობის, აღორძინების გზას დაადგა და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პროცესის შემომქმედი დავით IV შთამომავლობამ აღმაშენებლად აღიარა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დააწესა.

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თევქსმეტი წლის დავითს, თურქ-სელჩუკებისაგან აკლებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“. ამასთანავე „ქალაქი ტფილისი, რუსთავი, სამშუილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს“. მხოლოდ „თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომნი ქუეყანა მათი ლიპარიტს“ ეჭირა. რაკი ქვეყანა მოოხრებული იყო, ქართლის ჭალაკები და ნაჭარმაგევი ნადირთა ბუნაგად იქცა, „აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ“. ამასთან ქართლში თურქები დაძრწოდნენ, ხოლო „ზამთრისავე მოწევნისა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალასა და დიღუამს ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგომი“.

მთელი ქვეყანა მისჩერებოდა ჭაბუკ მეფეს. ერთგულნი ლოცულობდნენ მისი გამარჯვებისათვის, ორგულნი ნატრობდნენ მის საბედისწერო შეცდომებს. დავითის გამეფებით იწყება ახალი ხანა საქართველოს ისტორიაში ,,ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვითო სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგმამან, დავით“- ასე აგვიწერს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი.

საქართველოს სამეფო იმდენად დაკნინებულიყო, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა: ,,საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა...და სადგომი სამეფო წაღულისთავი“. უპირველეს ყოვლისა ქვეყანა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები შემოეკრიბა, შემდეგ კი ქართველი ერის ძალისხმევა წარემართა სელჩუკიანთა განსადევნად. დავით აღმაშენებელმა ამით დაიწყო. შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. ახალგაზრდა მეფე თავს უყრიდა ერთგულ მხედართა რაზმებს. ამ მოლაშქრეებით ესხმოდა თავს თურქსელჩუკებს, ამარცხებდა მათ და ამით მტრის შიშით მთებში გახიზნულ ქართველ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა სელჩუკებს აღუკვეთა ქვეყანაში თავისუფალი თარეშის საშუალება. ეს წარმატებები ქართველ ხალხს უნერგავდა მტერზე გამარჯვების იმედს, საკუთარი ძალების რწმენას. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას, დაიწყო ქალაქების აღორძინება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს დიდი დავითის მთელი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული შტრიხი. დავით აღმაშენებლის მოქმედებას და მოღვაწეობას საოცარი თანამიმდევრობა ახასიათებს. თანამიმდევრობის შინაარსი მის მოღვაწეობაში მოიცავს პარალელურობასაც - დავით აღმაშენებლი რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს ერთმანეთის პარალელურად აკეთებდა. ეს პარალელური ხაზები ერთი წამითაც არ არღვევენ თანამიმდევრობის შინაარსს. რა საქმეების გაკეთება შეიძლებოდა ერთმანეთის პარალელურად, - განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ საგანს ახალგაზრდა მეფე. მისი მიზანი იყო დრო მაქსიმალურად გამოეყენებინა.

დავით აღმაშენებელმა ღრმად იწამა, რომ საქართველოს მაშინ მოქმედების მეტი არაფერი იხსნიდა. უნდა ამოქმედებულიყო ყველა ძალა, ფიქრი, ოცნება, ფანტაზია, ამოქმედებულიყო გლეხი, აზნაური, დიდგვაროვანი, ეკლესია. პირველყოვლისა, სამეფო კარი! იწვრთნებოდა რა ერის თვისებები, ისჯებოდნენ რა მოღალატენი, მკვიდრდებოდა შეუვალი ნება და ამ გაწვრთნილი ერისა და მხედრობის ენერგია წუთის მოუცდენლად უნდა გაცხადებულიყო მოქმედებაში.

დავით აღმაღენებელი დღიდან გამეფებისა გარდაცვალებამდე ხმალამოწვდილი იდგა საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე და მისი ღაშქარიც ღარივით მოზიდული ელოდა მტერს, არ ჰქონდა ძილი და მოსვენება.

სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება, ურჩი ფეოდალების ალაგმვა. დავით მეფე დარწმუნებული იყო, რომ ბაღვაშები და სხვა დიდგვაროვნებიც თავისას არ მოიშლიდნენ, ამიტომ გადადგა ერთი შეხედვით უცნაურ ნაბიჯი. პირველივე ღალატისათვის არ დასაჯა სიკვდილით ან გაძევებით:,,ამას რა ესევითარებასა ხედვიდა დავით, ინება გაწურთა მისი. იმისთვისცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე.”მთელი ხელოვნება იკითხება დავითის პოლიტიკისა ამ ფაქტში. ერის თვალწინ ხდება ყოველივე. ქართველი კაცის დასჯა არ არის მეფის სურვილი, თუკი გაწვრთნა მოხერხდება.

დავით IV აღმაშენებელი

„ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა”

დავითის ისტორიკოსი

დააპატიმრა ლიპარიტი . ღმერთი მოიშველია „შუამდგომელად“ ლიპარიტმა, ფიცი დადო ხალხისა და მეფის წინაშე. მეფემ პატივით დააბრუნა თავის საერისთავოში — არაფერი დააკლო, ძველებური დიდება შეუნარჩუნა. დემოკრატიის უფრო ღრმა გაგება შეუძლებელია. ეხლა ლიპარიტ ბაღვაშზე იყო ყველაფერი დამოკიდებული, შეძლებდა თუ არა ამ პატივის დაფასებას, მეფის ერთგულებას და ქვეყნის უანგარო სამსახურს. რაც მთავარია, მთელმა ქვეყანამ დაინახა, როგორ მოექცა მეფე ორგულ ყმას.სამწუხაროდ ლიპარიტმა არ მოიშალა ორგულობა. „იხილა რა მშვიდმან და ღმრთივ გაბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორე წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო, და საბერძნეთს გაგზავნა”. ქვეყნის წინაშე გააშიშვლა დავით აღმაშენებელმა მოღალატე დიდგვაროვნის ბუნება. 1096 წელს, მეფემ ლიპარიტ ბაღვაში გააძევა საქართველოდან, ხოლო 1103 წლს, როდესაც გარდაიცვალა ლიპარიტის შვილი რატი, საერთოდ გააუქმა კლდეკარის საერისთავო: ,,დასრულდა სახლი ბაღვიშთა, სახლი განმამწარებელთა”, — წერს დავითის ისტორიკოსი. ასევე გაუსწორდა მოღალატე აბულეთისძეთა სახლს — ძაგანს და მოდისტოსს (1103 წ.). ბაღვაშთა და აბულეთისძეთა ბედი სამაგალითო იყო სეპარატისტულად განწყობილი სხვა დიდგვარიანი ფეოდალებისათვის, რომელთაც დაინახეს, რომ მეფე უსწორდებოდა მეამბოხე, ურჩ ფეოდალებს.

როდესაც დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგვაროვანი მოწინააღმდეგეები, 1099 წელს სელჩუკთა სულთანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი-ერისთავები ცენტრალური მმართველობისათვის დაექვემდებარებინა. 1104 წელს ერთიან სამეფოს ჰერეთი და კახეთი შემოუერთა. კახეთ-ჰერეთის დიდებულებმა: არიშიანმა, ბარამმა და ქავთარ ბარამისძემ შეიპყრეს „კახთა მეფედ ხსენებული აღსართან“ და მეფე დავითს მიგვარეს.

სეპარატიზმის მოსურნე და მეფის მოწინააღმდეგეები აშკარად თუ ფარულად იბრძოდნენ. როგორც კი ნახეს, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს მეფის ხელდებული და ერთიანი ქვეყნის შემადგენელი გახდა, დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, რომელიც თურქეთის სულთნის მოხელე იყო. შეიკრიბა სულთნის ღაშქარი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, ძალზედ მრავალრიცხოვანი ყოფილა. აქვე იყო განძის ათაბაგი თავისი ღაშქრით და ჰერეთ-კახეთის დიდებულთა ერთი ნაწილი. ეს მეტად დიდი ძალა იყო და მას სათანადო გამკვლავება სჭირდებოდა. დავით აღმაშენებელმა მტერთან შედარებით ბევრად მცირე ღაშქარი გამოიყვანა და როგორც მისი ისტორიკოსი გადმოგვცემს, ერწუხთან შეება მტერს. მტრის რიცხობრივ უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა კარგად გაწვრთნილი ღაშქარი და პატრიოტი, თავგანწირული მებრძოლები დაუპირისპირა.

ბრძოლის მხილველი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გაკვირვებულია ქართველი მოღაშქრეების მომზადებით და გმირული შემართებით. იგი ხატოვნად გადმოგვცემს ბრძოლის სიმძაფრეს: ,,ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ხელით იპყრობდა და ორთა არა თუ წარექცივნეს ბევრნი, არამედ სამალავითა თვით მათივე ტყეთა და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყვანდეს იგინი ყოველნი”. ,,ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა” თვალსაჩინოდ აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა სხვა მხედართუფროსებს, რომლებიც ღაშქარს ზურგით ედგნენ და იქედან აძლევდნენ განკარგულებებს მეომრებს. დავით აღმაშენებელი გოლიათივით წინ მიიმართებოდა და თავისი ძლიერი, მტკიცე მკლავით მუსრს ავლებდა მტერს. ,,ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ქმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა”(,,ქართლის ცხოვრება”). მისი ხმლიდან უკუმომდინარე სისხლმა უბეები აუვსო ისე, რომ ომის დამთავრების შემდეგ, როცა სარტყელი შეიხსნა, ეს დაგუბებული სისხლი გადმოიღვარა. მხილველნი თავიდან შეეჭვებულან, მეფე ხომ არ დაჭრილაო. იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და ,,მეოთხეს ზედა მჯდომმან სრულყო მის დღისა ომი”.ერწუხის ბრძოლაში (1104 წ.) დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვების შედეგად დავითმა შეუნარჩუნა საქართველოს კახეთ-ჰერეთი. ამან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მიერ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებების წარმატებით გატარებას, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყანა იმდროინდელ წინა აზიასა და კავკასიაში უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

დავითი კარგად ხვდებოდა, რომ ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა ეკლესიას. ის უნდა გამხდარიყო საქართველოს იდეოლოგიური გაძლიერების მესაჭე. თუმცა დავითის გამეფების დროისათვის ქართულ ეკლესიაშიც არაერთი პრობლემა იყო გადასაჭრელი. შწორედ ამ მიზნით მოიწვია დავითმა ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრება (1104 წ.).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მტკიცედ დაადგინა საეკლესიო წეს-კანონები, რომელიც მოცემულია ამ კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში, რომელსაც ,,ძეგ-ლისწერა'' ეწოდება. საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენეს და შეაჩვენეს ყველა „უღირსად გამოჩინებულნი”. ამიერიდან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობისა და მემკვიდრეობის მიხედვით. თანამდებობაზე ინიშნებოდნენ მხოლოდ ღირსეულნი - ნიჭიერნი, განსწავლულნი, პატიოსანნი, ქვეყნის ერთგულნი. დაკანონდა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი, განისაზღვრა ასაკი, რომლის უადრეს არ ეგებოდა მათი ხელდასხმა: 35-წელი ეპისკოპოსთათვის, 30 მღვდელთათვის, 25-დიაკონისათვის, 8 — წიგნის მკითხველისათვის. აიკრძალა ხელდასხმით ერთსა და იმავე დღეს ერთი ხარისხიდან პირდაპირ მეორე და მესამე ხარისხში აყვანა. ეს იმას ნიშნავდ, რომ საეკლესიო იერარქიულ კიბეზე აღმასვლა უნდა მომხდარიყო ყველა საეკლესიო საფეხურის საფუძვლიანად გავლით.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ მწიგნობართუხუცესის სახელო და ჭყონდიდლის თანამდებობა გაერთიანდა. ეს უმაღლესი თანამდებობა მეფემ ჩააბარა თავის უახლოეს და უერთგულეს ადამიანს, მის აღმზრდელსა და ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწეს გიორგი ჭყონდიდელს.

დავით აღმაშენებელმა წარმატებით განახორციელა საფუძვლიანი სამხედრო რეფორმა. ქართული ღაშქ-

რის გაწვრთნასთან და საკუთარი მუდმივი ლაშქრის შექმნასთან ერთად, რაც მან ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო, დავით აღმაშენებელმა 1118-1120 წ.წ. ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაღთა 40000 ოჯახი ჩამოასახლა, დაასახლა საქართველოში და თითოეულ ოჯახს თითო მოლაშქრის გამოყვანა დააკისრა. ამდენად, 40000 მოლაშქრე შეემატა და უკვე 1120 წლისათვის 60000-იანი მუდმივი ლაშქარი შექმნა. ამას გარდა დავით აღმაშენებელს ჰყავდა ხუთიათასიანი პირადი გვარდია ,,მონა-სპა". ქვეყნის ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდნენ ,,სამეფოსა სპანი''. ,,სამეფოს სპანი" დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში წარმოდგენილია, როგორც ,,რჩეული და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი". განსაკუთრებით საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქარს ემატებოდა ,,როქის სპა'' — უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასამართლოს. მის სახელთანაა დაკავშირებული სასამართლო დაწესებულების სააჯო კარის გარდაქმნა. სააჯო კარს ხელმძღვანელობდა მწიგნობარუხუცესი-ჭყონდიდელი. იგი იყო ,,მართლმსაჯული და ხელისამპყრობელი უღონოთა და ქვრივთა". ,,ხელმწიფის კარის გარიგებაში'' ხაზგასმითაა ნათქვამი: ,,ჭყონდიდელი ორშაბათ დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული სააჯო კარი უზენაეს ინსტანციას წარმოადგენდა დაბალი საფეხურის სასამართლოებისათვის.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს წარმატებები ქვეყნის პოლიტიკური,ეკონომიკური და კულტურული გაძლიერების საქმეში.

ალაპარაკდა მსოფლიო ქართველთა სიძლიერეზე და აღზევებაზე. ლაპარაკობდნენ მტრები — სიძულვილით, შიშით და ძრწოლით, მოყვრები— კრძალვით, პატივით, აღტაცებით. ეძებდნენ სიახლოვეს, კავშირს, მეგობრობას, მოყვრობას საქართველოს სამეფო სახლეულთან.

შირვანის ძლიერმა შაჰმა მანუჩეჰრ II-ემ მოწინებით სთხოვა დავითს ცოლად მიეცა მისი უფროსი ასული თამარი. დამოყვრება მოხდა. თამარი „აღმოსავლეთის დედოფალი შეიქმნა".

1071 წლიდან, მანაზკერტის დიდ ბრძოლაში თურქ-სელჩუკთაგან განადგურების შემდეგ, ბიზანტიელები აზიაში ერთადერთ სამოკავშირეო ძალად ერთმორწმუნე ქართველობას თვლიდნენ. კონსტანტინეპოლის სასახლის კარი ახალ-ახალ გზებს ეძებდა საქართველოს ტახტის მფლობელებთან დასაახლოებლად. ბიზანტიის კეისრებს განსაკუთრებით დიდი სურვილები აღმოაჩნდათ დავით აღმაშენებელთან მეგობრობა-მოყვრობის. ქართველი მეფეც ცდილობდა თავისი პოლიტიკური გავლენა დაემყარებინა საქრისტიანო სამყაროს ცენტრში. 1118 წელს დავით აღმაშენებელის მეორე ასული კატაი ცოლად შეირთო ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენოსის უმცროსმა ვაჟმა ისააკმა. ამგვარად, დავით აღმაშენებლის ასულნი ,,ვითარცა ორნი მნათობნი-ერთი აღმოსავლეთის, მეორე დასავლეთისციისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი".

დავითს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. აღმაშენებლის მძლავრი გამოსვლები სწორედ ჯვაროსანთა პირველი აზიური ლაშქრობების პარალელურად მიმდინარეობდა. არის ცნობები, რომ ფრანგ რაინდთა თხოვნით დავით აღმაშენებელს თავისი ჯარები პირველ ლაშქრობაშივე მიუშველებია თურქთა ხელიდან სირიისა და პალესტინის ქალაქთა გამოსახსნელად.

1120 წლის 7 მაისს ქართველებმა დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთ ტერიტორიებზე. აქ მათ აიღეს ყველა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. იმავე, 1120 ზაფხულსა და შემოდგომაზე ქართველებმა კიდევ რამდენიმეჯერ დაამარცხეს თურქები ირანსა და სომხეთში. ნოემბერში და-

ვითი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაეშურა. მის შეტევას უნდა აღეკვეთა ალეპოელი სულთნის ილღაზის მიერ განზრახული ლაშქრობანი ბალდუინის ჯვაროსნულ სამფლობელოთა დასაპყრობად.

1121 წელი მძიმე ზამთრით დადგა. განუწყვეტლივ თოვდა - ,,გარდანაკვეთსა თოვლისა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი''. ბიჭვინთას ჩასულიყო დავით აღმაშენებელი და აფხაზეთის საქმეებს განაგებდა. ისევ მოიჭრნენ მსტოვრები: თურქებს უფიქრიათ, სანამ დავითი შორსაა და აფხაზეთიდან ესოდენ დიდ თოვლში ჩამოგვისწრებდეს, მანამ ქართლის აოხრებას მოვასწრებთო და ,,გულდებით'' წამოსულან მტკვრის ხეობისკენ სასწრაფოდ წამოვიდა ,,ლომი იგი" აფხაზეთიდან ,,თოვლითა საშინელითა''. ლიხის მთაზე თვითონ გაუძღვა ნიჩბით ხელში ჯარსა და ხალხს, თოვლი გადათხარა, გზა გადაიკვალა და ქართლს გადავიდა. აქ უკვე გამზადებული ქართლელთა ჯარიც შეიერთა და ფეხმალად გაეშურა ხუნანისაკენ. აქ, ხუნანის გარშემო, ალგეთის, ბერდუჯისა და მტკვრის შესაყარი აუზი სრულიად აღევსო თურქთა კარვებს. ისევ დაეცა დავით მეფე მტერს მძვინვარედ. ქართველებმა თურქები ,,ისე მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა''.

1120-1121 წლეებში ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქრობებმა ხელი გაუხსნეს თურქთაგან დაშინებულ ჯვაროსნებს. ბალდუინმა სამხრეთიდან, პალესტინიდან წარმატებით წამოიწყო შეტევები ილღაზის სამფლობელოებზე.

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გააქტიურებით შეშფოთებული იყვნენ მაჰმადიანი მფლობელებიც, რომლებიც სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად.

მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ინიციატორი და ორგანიზატორი ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე ყოფილა. მან მიმართა მაჰმადიანებს ,,ვინც კი სადმე იყო დამასკოდან და ალეპოდან მოკიდებული'' მონაწილეობა მიეღო საქართველოს წინააღმდეგ ომში.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის მიხედვით შეადგენდა 560000 კაცს. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, ფრანგი გოტიეს ცნობით, მაჰმადიან მოლაშქრეთა რიცხვი 600000-ს აღწევდა. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან შედგებოდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ მტრები ,,შეითქუნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა", ,,აღივსო ქუეყანა", რომ ,,ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა". ალ-ფარიკი მიუთითებს, რომ ,,დიდ ლაშქარს მოუყარეს" თავიო, მათე ურჰაელი რიცხვის დასახელებასთან ერთად საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ,,საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში".

გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80000 მხედრით შეეგება მტერს საბრძოლველად. ეს მონაცემი გაზვიადებული ჩანს. უფრო დამაჯერებელია მათეოს ურჰაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. შომეხი ისტორიკოსის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.



თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: ,,მეომარო ქრისტესანო. თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მისატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ".

1121 წლის 12 აგვისტო, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათი. იმ დღეს თურქ-სელჩუკები ბრძოლის დაწყებას თითქოს არც ელოდნენ. დავითმა ბრძოლის წინ უცნაურ ხერხს მიმართა. ქართველთა ბანაკს 200 მეომარი გამოეყო და თურქთა ბანაკისაკენ გულდაგულ გაეშურა. რაკი იმათგან უმრავლესობა თურქებმა ყივჩაღებად შეიცნეს, ქართველთა მოღალატეებად და მათგან გამოქცეულებად და თავის შუა განლაგებაში დანდობილად შეუშვეს. მათ უეცრად იარაღი გამართეს და თურქებს გასაოცარი თავზეხელაღებულებით დაერივნენ სანამ თურქები გონს მოვიდოდნენ, თვითონ დავითმა ფიცხელ იერიშზე აფრინა ქართველთა ძირითადი ძალები.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევამოსილებით წარიმართა. გადამწყვეტ ჟამს ბრძოლაში ფლანგიდან ჩაერთო ქართველი მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ვაჟი უფლისწული დემეტრე მიუძღოდა.

დიდგორის ომი ქართველთა ძლევამოსილებით დამთავრდა. დავით მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ გამარჯვებათა შორის უბრწყინვალესი საომარი კვერთხი. თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სრულიად გაწყდა: ,,აღივსნეს ველნი მათნი და ღელენი მძორებითა". ხოლო ვინც გაქცევა მოასწრო, იმათ რვა დღე სდიეს ცხენოსანმა ქართველებმა. მანამ სდიეს, სანამ საქართველოსა და სომხეთის საძღვრებიდან არ გადარეკეს.

სიკვდილს ძლივს გადაურჩა თვითონ თურქთა მთავარსარდალი ილღაზი. იგი თავში მძიმედ დაჭრილი, თვითონ გაქცეული და თავლაფდასხმული, სიძის, დურბეიზის დახმარებით, დიდის ვაი-ვაგლახით გაიყვანეს სამშვიდობოს.

დიდგორი ანუ როგორც მას მემატიანე უწოდებს ,,ძლევაი საკვირველი'', შეიქმნა პროლოგი მომდევნო ფეხბედნიერი მოვლენისა, თბილისის დახსნისა და საქართველოს სრული გათავისუფლება-გაერთიანებისა. დიდგორი ისტორიაში დარჩა ვითარცა უზენაესი სიმბოლო ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვდავებისა.

დიდგორის ომის შემდეგ დავითი ძლევამოსილი ქართული ლაშქრით პარდაპირ თბილისს მიადგა. ქალაქის მუსლიმანურმა ხელისუფლებამ უარი თქვა დანებებაზე. და 1122 წლის დამდეგს თბილისი იერიშით აიღო დავით აღმაშენებელმა.

ქალაქის მუსლიმან მესვეურთა უგუნური სიჯიუტით განრისხებულმა მეფემ ურჩნი სიკვდილით დასაჯა. მერე, ჩვეული დიდსულოვნებით გული დაიცხრო, დამშეული და დაშინებული მოსახლეობა დააპურა, დაამშვიდა და დააბრუნა თავის ფუძეზე. ქალაქის მოსახლეობა ჭრელი იყო ეროვნულად და სარწმუნოებრივად. უპირველესად ამას მიაქცია ყურადღება. დავითმა გადასახადებიც განსხვავებული დაუწესა ქალაქის მცხოვრებთ. ქრისტიანები ყოველწლიურად იხდიდნენ 5 დინარს, ებრაელები 4, მუსლიმანები კი 3 დინარს.

1123 წელს დავითმა აიღო ქალაქი დმანისი და ამით საქართველოს გაერთიანება სავსებით დაასრულა. ყველა ქართული მიწა უკვე საქართველოს საზღვრებში იყო. ერთიანი საქართველოს სამეფო რეზიდენცია დავით აღმაშენებელმა ქუთათისიდან თბილისში გადაიტანა.

ამის შემდეგ დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი 1123 წელს და ანისი 1124 წელს.

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული მოღვაწეობის სიმბოლო შეიქმნა მისგან 1106 წელს აშენებული გელათი ,,აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა''. მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხუროთმოძღვარიც, უპირველესი ქვისოსტატიც.

დავითმა გელათში სამოღვაწეოდ მოიყვანა და ,,დაამკვიდრა'' გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნენი — მათ შორის, არსენი-შემდგომში იყალთოელი.

დავით აღმაშენებელი ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სავანეებზე.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდისათვის. ჟამიდან ჟამზე ჭაბუკ ქართველებს აგზავნიდა უცხოეთის კულტურულ ცენტრებში სასწავლად და ,,საწურთნელად''.

დავით აღმაშენებლის სახელი და დიდება შორს იყო გავარდნილი, მის შესახებ ლეგენდები დადიოდა მაშინდელ მსოფლიოში. თუმცა არც სიცოცხლის შემდეგ მოკლებია შარავანდედი. მთელი იმდროინდელი სამყარო, ვის ყურამდეც მივიდა საქართველოს მეფის ძლევამოსილებისა და პიროვნული ღირსებების ამბავი, თვალყურს ადევნებდა მეფის ცხოვრებას და მოქმედებას - ,,რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა".

დავით აღმაშენებლის გამჭრიახმა პოლიტიკამ, მისმა გეგმაზომიერმა და მიზანსწრაფულმა საქმიანობამ ,,დაამშვიდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ობერ-ქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამითა მშვიდობათა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი".

1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, ორმოცდაცამეტი წლისა. გამეფდა თექვსმეტი წლისა, იმეფა ოცდათექვსმეტი წელი. დავით აღმაშენებელი ,,მესიის მახვილად" შერაცხული, ,,მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა" დაკრძალულია მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველი, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, დავით აღმაშენებლის ასეთი წარწერაა: ,,ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს, აქა დავემკვიდრო მე".

ბეჯითობით დალაშქრული ცხოვრების მწვერვალები

წინაველას და ნამწვარევის ქედის ფერდობებზე ციცაქალას მძივებივით შემორტყმულია ცინარეთი, ჯაბნიეთი, ტბეთი, გოგიეთი, წაბლანა და სამოლეთი. ირიჟრაჟებს თუ არა, მზის ოქროსფერი სხივები გომანს ამოანათებს და უჩამბის ხეობაში, აისზე, ცინცხალ დილით პირველად ცინარეთს სწვდება. მუხნარ-რცხილნარების და წიფლნარების ალყაში მოქცეულ სოფლის გარემოს, მთელ დღეს, დაისამდე, სანამ წინაველას უკან არ ჩაცურდება ოქროსფერი ბირთვი, მაცოცხლებელი ენერგიით ავსებს. ღამის ცის დედოფალის - მთვარის შუქიც აქ განსაკუთრებული სიკაშკაშით ანათებს და კაცს ჰგონია, სოფელს იდუმალი ნათება ეფინებაო. სიცოცხლის მრავალფეროვნებით სავსე ამგვარ ადგილსამყოფელში უკეთ იკვეთება ადამიანში იმთავითვე კოდირებული ამაღლებისაკენ სწრაფვა.. როგორც ჩანს, ამიტომაცაა განთქმული ცინარეთი ძველი და ახალი თაობის მოღვაწეებით, სანაქებო პედაგოგებით, გულისხმიერი ექიმებით და ცნობილი მეცნიერებით. ამ უკანასკნელთა შორისაა გამოჩენილი მკვლევარი-გენეტიკოსი, პროფესორი ანზორ დიასამიძე.

შვიდ-ნახევარი ათეული წლის წინ, მთის ჩახჩახა ზაფხულის პირველ თვეში — 1939 წლის 15 ივნისს დიასამიძეების ოჯახში ვაჟი დაიბადა. მთიელი კაცი ვაჟიშვილის დაბადებას დიდი სიხარულით ხვდება, ოჯახს ჯილღის დამჭერი და იარაღის მატარებელი ემატება. პირველი ვაჟიშვილის გაჩენამ უპირველესად მშობლები გაახარა: წარმოსადეგი, მუყაითი, გულითადი, გამბედავი მამა ოსმანი და დედა - შუახეველი დავითაძეებისათვის დამახასიათებელი თეთრი, ვარდისფრად შეფაკლული სახის ქალბატონი ფატყუმ დავითაძე. პატარა ბიჭი ანზორი, დედულეთში იზრდებოდა, ის ხომ დიდი შირინაღა დავითაძის შვილთაშვილის შვილია. არა მარტო გენებმა, არამედ აღზრდამაც დააჩნია თავისი კვალი ანზორ დიასამიძეს. იქვე, ოღრიალში მიიღო პირველდაწყებითი განათლება, მაგრამ ქალბატონი ფატი ვერ იმეტებდა თავის პატარას 10-12 კმ-ით დაშორებულ საშუალო სკოლაში გასაგზავნად. ძნელზე ძნელი იყო ზამთარ-ზაფხულ, ყოველდღიურად სოფლიდან კანიონისმაგვარი ხეობის, მთის ფერდობების გავლით, მის ძირში, სიღრმეში, მდინარის პირას მდებარე, შუახევში სიარული. სწავლის ერთი წელი გაუცდა ნიჭიერ ბიჭს. „თუ არა მადლიანი კაცის ხელი, - როგორც აღნიშნავს ბატონი ანზორი მისი მასწავლებლისა და სახელმოხვეჭილი დირექტორისადმი ვახტანგ მაკარაძისადმი საიუბილეოდ მიძღვნილ წერილში, - საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლების კანონის მიუხედავად, მთის მკაცრ პირობებში სკოლის გარეშე დავრჩებოდიო. ის შუახევის საშუალო სკოლასთან არსებულ ინტერნატში ცხოვრობდა სკოლის დასრულებამდე. 1958 წელს წარჩინებით (მედალზე) დაამთავრა სკოლა და ბატონი ვახტანგისავე რჩევა-დარიგებაწაქეზებით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები. ოთხ საგანში მაღალი ნიშნები დაიმსახურა, რის მიხედვითაც მთიელი ჭაბუკი უნდა ჩარიცხულიყო ინსტიტუტში ბუნების ქმნილებათა გვირგვინის ადამიანის მკურნალობისათვის ცოდნის მისაღებად. ვაი, რომ გამოცდებში მიღებული მაღალი ქულები ერთ ჩათვლას დააძლევინეს, ცენტრისათვის დამახასიათებელი სიმახინჯის გამო ის ინსტიტუტის გარეთ დარჩა. ასე არა მარტო მას მოექცნენ, არამედ იმ დროს თითქმის ყველა წარჩინებულს, ყველა „უფულოს ასე ისტუმრებდნენ. რას ვიქმოდით მაშინ, ყველა ერთგვარად განიცდიდა იმ დროს დაბუდებულ უსულობას და გაუტანლობას. ალბათ, ამგვარმა უკუღმართობამ ათქმევინა გენიალურ მგოსანს ზურაბ გორგილაძეს:

,,დერდებს გულში ვიბეგსნიდი,
აჭარელი ვიყავ განა!...
რა უბედური ხალხის შვილი ვარ,
რა უბედური მარგუნა მხარე“

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებისადმი ლტოლვა, პირველმა ,,მარცხმა ვერ შეანელა, იგი ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფია—ბიოლოგიის სპეციალობაზე. სტუდენტი ანზორ დიასამიძე პირველივე კურსიდან მკაფიოდ ამჟღავნებდა თავის ნიჭს. ინსტიტუტში სწავლის ხუთმა წელმა მომავალ მკვლევარს შესძინა როგორც ახალგაზრდულ ორგანიზაციებში აქტიურობის, ასევე საფაკულტეტო სამეცნიერო წრეებში შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება. მალე პროფესორთა სიყვარულიც კი დაიმსახურა, არამარტო ფრიადებზე სწავლით, არამედ სხვადასხვა

ანზორ დიასამიძე ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის თანამშრომელთა შორის

საგანში აქტიური აზროვნებით და სამეცნიერო წრეებში შესასწავლი საკითხების აკადემიურ დონეზე მომზადებით.

1964 წელს მან წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ამით უკვე მეორეჯერ ბეჯითად დალაშქრა ცხოვრების მწვერვალი, პირველი ხომ საშუალო სკოლის მედალზე დამთავრება იყო.

უმაღლესი სკოლის გეოგრაფია-ბიოლოგიის კურსთამდავრებული ანზორ დიასამიძე თავის შემდგომ შრომა-საქმიანობას, ბიოლოგიის მიმართულებით აგრძელებს.

გულისხმიერი ლექტორების მხარდაჭერით ის მშობლიურ ინსტიტუტში დაასაქმეს. სწავლის გაგრძელების წყურვილმა ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში მიიყვანა და მალე ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის განყოფილების ასპირანტი გახდა. ბატონმა ანზორმა იოლი გზით სიარულს, რთული გზა ამჯობინა-აირჩია, რადგან სურდა ზიარებოდა ბუნებაში არსებული სიცოცხლის მრავალფეროვნების დიდ საიდუმლოებას, ამიტომ თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებანი იმ დროს თითქმის ახლადაღორძინებულ გენეტიკას დაუკავშირა. ჩვენთან (სსრკ-ში) ის ხომ ეკოლოგიასთან ერთად გასული საუკუნის 60-იან წლებამდე განდევნილი იყო. უმაღლეს სასწავლებლებშიც პირველად, იმავე საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო მათი სწავლება. ხელმძღვანელად ცნობილი გენეტიკოსი, საკავშირო აკადემიის აკადემიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, იოსებ რაპოპორტი შეურჩიეს. ხელმძღვანელის და ასპირანტის პირველ შეხვედრას დიდი შთაბეჭდილება გამოუწვევია ერთმანეთში. ასპირანტის ცოდნით აღფრთოვანებულმა ხელმძღვანელმა მასთან, თეორიულ ბიოლოგიაში მუშაობა შესთავაზა: **„У Грузинов очень ясные мысли, у тебя такие данные, что я советую тебе работать у нас в теоротической биологий“.** ეს იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში. უკვე გვიან, მომწიფებული გენეტიკოსი, პროფესორი ანზორ დიასამიძე იხსენებს: ,,ამ კაცმა რუსული ენაც კი შემასწავლა. ეროვნებით ებრაელს ძალიან უყვარდა ქართველები. ის ფორე მოსულიშვილთან ერთად იბრძოდა იტალიის მთებში. მისთვის ჩვეული აქტივობით (ფრიადებზე) ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები და ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: ,,ქიმიური მუტაგენების გავლენა ციტრუსების ცვალებადობასა და მტვრის მარცვლის გამანაყოფიერებელ უნარზე. ამ ნაშრომის შესრულების შემდეგაც ბატონი ანზორი აგრძელებდა არჩეული გზით კვლევა-ძიებას, რაც საფუძვლად დაედო მის მეცნიერულ მიმართულებას: სუბტროპიკულ კულტურათა გენეტიკისა და სელექციის თეორიული საფუძვლების შესწავლას; ფორმათაწარმოქმნის რეგულირების მეთოდების დამუშავებას და საწყისი სელექციის მასალის შექმნას. შემდგომი მისი გამოკვლევები გარდა ციტრუსებისა ეხება სხვა ხეხილოვან მცენარეების: ვაშლის, მსხლის, კაკლის გენეტიკისა და სელექციის სხვადასხვა კანონზომიერებას. მკვლევრის მიერ სელექციური ექსპერიმენტებით მიღებული შედეგები და თეორიული დასკვნები პრაქტიკული მნიშვნელობითაც გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სელექციის ახალი მეთოდების შემუშავება ციტრუსოვნებში შეჯვარების პროცესების დასაჩქარებლად. ამგვარი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, მან პირველმა გამოიწვია ქიმიური მუტაგენეზი (ორგანიზმში გენეტიკური ცვალებადობის გამოწვევა, ახალი ჯიშებისა და ფორმების მისაღებად), სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდები შეაუღლა და მისი შედეგებიც შეისწავლა. მანვე შეიმუშავა დამუშავებული და გამოყენებული ქიმიური მუტაგენებით ციტრუსოვანთან მტვერზე ზემოქმედების მეთოდები და სახეობათაშორის ჰიბრიდიზაციაში მისი გამოყენების შესაძლებლობები. ყოველივე ამან მკვლევარს მისცა შესაძლებლობა, აეხსნა ქიმიური მუტაგენებით გამოწვეული ცვალებადობის თავისებურებანი ორგანიზმის, უჯრედისა და ქრომოსომის დონეზე, რაც საფუძვლად ედება ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და გენეტიკური მახასიათებლების ცვალებადობის კანონზომიერებებს, საბოლოოდ კი დგინდება ქიმიური მუტაგენეზის დროს მუტაგენური და გენოტიპური თავისებურებების სპეციფიკა. ექსპერიმენტული კვლევებით, მიღებული შედეგების განზოგადებით გენეტიკური თეორიული დასკვნები ზოგადბიოლოგიურ კანონძმიერებებს დაედო საფუძვლად. ამგვარი კვლევა-ძიებით დაგროვილი მეცნიერული ცოდნის საფუძველზე პროფესორმა ანზორ დიასამიძემ შექმნა საინტერესო, შემოქმედებით-სამეცნიერო პროდუქცია; გასული საუკუნის 80-იან წლებში ის უკვე რამდენიმე მონოგრაფიისა და ათეულობით სტატიის ავტორია. ყოველივე ამან კი ბიძგი მისცა მკვლევარ-მეცნიერს, თავისი ზოგადგენეტიკური, თეორიული, მეცნიერული მიღწევები წარედგინა საპაექროდ — სადოქტორო დისერტაციის სახით. 1995 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: ,,ქიმიური მუტაგენეზი და ცვალებადობის თავისებურებანი ციტრუსოვანთან სახეობათა შორის ჰიბრიდებში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო დარბაზში ტევა არ იყო. დისერტანტი ანზორ დიასამიძე ჩვეული ორატორობით, შესაშური ქართულით და გამჭრიახობით, თავისებური დიქციითა და ტონით, სადისერტაციო საბჭოს ახსენებდა ნაშრომის ძირითად დებულებებს და მეცნიერულ სიახლეებს. დაცვაზე გამართული პაექრობა ისე წარიმართა, რომ მინდა გამოვიყენო ახალგაზრდა პუბლისცისტის — ნანა კალანდაძის პროფესორ ანზორ დიასამიძისადმი მიძღვნილი ნარკვევის სათაური: ,,ნიჭიერი ადამიანი თავის ორბიტაში გვაქცევს. სადოქტორო დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვა, ანზორ დიასამიძის ცხოვრების მწვერვალთა ბეჯითობით ერთხელ კიდევ დალაშქვრაა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული მცენარეთა გენეტიკური კვლევის საფუძველზე პროფესორმა ანზორ დიასამიძემ თავისებურად ახსნა და შეიმუშავა ციტრუსებში მუტაციური ცვალებადობის ზოგადი კანონზომიერებები. იგი განიხილავდა რა მუტაციებს, როგორც სახეობის ადაპტური ნიშნის გამოვლენას, ასაბუთებდა, რომ ციტრუსების ძლიერი მიდრეკილება, სომატური მუტაციებისადმი განხილულ უნდა იქნეს, როგორც პირველადი არეალისაგან (გენოცენტრისაგან), განსხვავებულ საარსებო პირობებში ე. წ. მეორეულ არეალში (მეორეულ ცენტრში), ორგანიზმთა რეაქცია პირობების ცვალებადობისადმი. მაშასადამე, ციტრუსებში და არა მარტო მათში, თითქმის ყველა სუბტროპიკულ ინტროდუცენტში ანდა ადვენტურ ინვაზიენტში გამომუშავდება დამახსიათებელი მექანიზმი, რომელიც ვლინდება ავტომუტაგენური ნივთიერების ჭარბი დაგროვებით. მკვლევარი მიუთითებს, რომ მცენარეული სახეობების და განსაკუთრებით ციტრუსოვნების გენოფონდი ყალიბდებოდა მეტად ხელსაყრელ, ტროპიკული და მუსონური კლიმატის პირობებში. მათ გენოფონდში არ ფიქსირდებოდა მკაცრი საარსებო პირობებისადმი გამძლე გენეტიკური კოდი. შესაბამისად, მათი რეაქციის ნორმა მეორად, ხელოვნურ ანდა ინვაზიის ბუნებრივ არეალებში დაბალია. მცენარის მეორად, მაგრამ შედარებით მკაცრ არახელსაყრელ პირობებში უგროვდება ,,ორგანიზმისადმი უჩვეულო ბიოპროდუქტები, რომლებიც ასრულებენ ავტომუტაგენურ ფუნქციას. აღწერილ მოვლენებს მეცნიერი უწოდებს „მემკვიდრეობის და ცვალებადობის პროცესების რეგულირების ერთ-ერთ მექანიზმს. ამ ყოველივეს ერთად აღებულს კი ადაფტოგენეზის რანგში განიხილავს, რაც მის მიერ შექმნილ ბოლოდროინდელ ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებშიც ნათლად ჩანს.

ცნობილმა ქართველმა გენეტიკოსმა, გამოჩენილმა მეცნიერმა და პედაგოგმა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ამჟამად კი შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო წოდების — ემერიტუს-პროფესორმა, ანზორ დიასამიძემ, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის საინტერესო და ამასთანავე სანაქებო გზა განვლო, რომელიც ძირითადად, ბათუმის უნივერსიტეტს უკავშირდება. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იგი ამ უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ხშირად უთქვამს: ,,სულ უნივერსიტეტში ვტრიალებ, ჩემი ცხოვრება უნივერსიტეტის კედლებით დაიწყო, მიყვარს ამ შენობის ყველა აგური, ყველა წახნაგი და მგონია, ის ერთადერთი ღმერთია, ამ პატარა ქალაქში. უნივერსიტეტისადმი მისი სიყვარულმა და პატივისცემამ ანზორ დიასამიძეს ათქმევინა:

,,ზღვა ხან დუმილით, ხანაც ხმაურით
ტკივილებს ხარშავს, ძველსა და ახალს
მზის სხივს კონებად ირეკლავს, გაფქვევს
და გულს გიმაგრებს ქათქათა ტაძარს

ქრონოლოგიურად დაწერილი მშრალი ავტობიოგრაფიის წაკითხვაც საკმარისია გაიგოს კაცმა, თუ რა თანმიმდევრობით გაიარა ბატონმა ანზორმა სახელოვანი ცხოვრების გზა: 1959-64 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მსახურობდა არმიაში. იყო პედინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის გათავისუფლებული მდივანი. 1966-69 წლებში ასპირანტი და საკვლევო ინსტიტუტში რიგითი მეცნიერ-მუშაკი. 1970 წელს, დაიცვა საკანდიდატო ხოლო 1995-ში — სადოქტორო დისერტაცია. ამავე წლიდან, ბათუმის პედინსტიტუსი ბიოლოგიის კათედრის დოცენტია. 1975-78 წლებში გახლდათ ინსტიტუტის პარტიული ბიუროს გათავისუფლებული მდივანი. იყო ბიოლოგია-გეოგრაფიისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დეკანი. მთავრობის სპეციალური დავალებით ორი წლით (1985-86) ზღვის თევზისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორია. 1987 წლიდა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოგადი ბიოლოგიის კათედრის გამგეა; ამავდროულად ხელმძღვანელობდა საუნივერსიტეტო მეთოდურ საბჭოს და მაგისტრატურის განყოფილებას; ასევე ბიოლოგიის ფაკულტეტის იმუნოგენეტიკის ლაბორატორიას. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი მონოგრაფია და ასზე მეტი სამეცნიერო სტატია. არის სახელმძღვანელოების: „გენეტიკა და ,,ბიოევოლუცია ავტორი. იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და სხვა საპატიო სიგელებით.

ჩავათავე თუ არა ავტობიოგრაფია, გამახსენდა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო წოდების ემერიტუს-პროფესორმა ანზორ დიასამიძემ, მეგობრების დაჟინებული ჩიჩინის შემდეგ, გადაწყვიტა თავისი მეცნიერული შემოქმედების სრული ანალიზით, წარმდგარიყო საქართველოს ეროვნული აკადემიის სხდომაზე, მეცნიერებათა დიდ საკრებულოში წევრად ასარჩევად. და აი, მისთვის ჩვეული მჭერმეტყველობით და ორატორობით, მის მიერ პირველად შემუშავებულ დებულებებს და სხვა თეორიულ მიღწევებს, ზოგადბიოლოგიური კანონზომიერებების ასახსნელად ახსენებს... ყველა აღფრთოვანებულია, მაგრამ ერთი ხმა დააკლდა... ისე, როგორც ადრე მთიელ ჭაბუკს სამედიცინო ისტიტუტში მისაღები გამოცდების დროს, მიღებულ მაღალ ნიშნებს, ერთი ჩათვლა დააკლდა და მაშინ, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ვერ გახდა სტუდენტი, ახლა კი, 21-ე საუკუნის პირველ ათწლედში, არ ისურვეს ყოფილიყო აკადემიის წევრი. ცენტრსა და პერიფერიას შორის ამგვარი დამოკიდებულება, მრავალ ნიჭიერ შემოქმედს გამოუხატავს გულისტკივილით. ამან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გენიალურ მგოსანს ათქმევინა:

,,საქართველოში ისე ვბერდები,
რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე.

პროფესორ ანზორ დიასამიძის, ფენომენის წარმოსაჩენად არ არის საკმარისი, ამ ფორმატის ნარკვევი, მით უმეტეს, რომ მე ამის პრეტენზია არ მაქვს; მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის განსაკუთრებული ნიჭით და უნარით, ღირსეულად აკეთებდა საქმეს, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგი და მოაზროვნე, იდეებით აღვსილი მეცნიერი. მისი ნაშრომები სრულიად თავისუფალია უცხო ენების გავლენისაგან, ესოდენ საჭირო სახელმძღვანელოები ადვილი და გამართული ენითაა დაწერილი, ყველასათვის — სტუდენტისთვის, პედაგოგებისა თუ მეცნიერთათვის და საერთოდ ყველა დაინტერესებულთათვის მისაღები რომაა, ეს რა თქმა უნდა, მის მიერ მრავალ ზოგადბიოლოგიურ პრობლემებზე მიღებული მონაცემებზე დაყრდნობით, არის განპირობებული. განსაკუთრებით სახელმძღვანელო "ბიოევოლუცია" — ში რამდენიმე თავი, მეცნიერის მიერ შესწავლილი და განზოგადებული ადაფტოგენეზის საკითხებზეა დაფუძნებული, ადაფტოგენეზი ხომ სიცოცხლის ევოლუცური მრავალფეროვნების საფუძველია.

ანზორ დიასამიძე და ნერმინ ბაკურიძე შვილიშვილებთან

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორი ანზორ დიასამიძის, როგორც არაჩვეულებრივი პედაგოგისა და ლექტორის ღვაწლი. მისი ლექციების კურსი მაღალაკადემიურია. გამორჩეული ორატორული ნიჭისა და დიქციის წყალობით ის მიმზიდველია მსმენელთათვის. მოზღვავებული ინფორმაციის მჭერმეტყველებით და თავისებური ტემბრით თხრობა არა მარტო სტუდენტებს, არამედ ირგვლივ მყოფთ ატყვევებს. უნივერსიტეტში ანზორ დიასამიძის ხანგრძლივ პედაგოგიურ მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი ყოველთვის ზრუნავდა მეცნიერთა და პედაგოგიური კადრების აღზრდისათვის. მისი უშუალო ხელშეწყობით და ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეულმა კურსდამთავრებულმა აიმაღლა სამეცნიერო კვალიფიკაცია. იტყვიან, „ფაკულტეტზე ტევა არაა გენეტიკოსებისო. მათგან ბევრი მის გვერდითაა, სამეცნიერო- პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. მათ იციან, რომ პროფესორ ანზორ დიასამიძის გვერდით მუშაობა ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია, თუ მასსავით პუნქტუალური, მკაცრი, მომთხოვნი, ამასთანავე ობიექტური და გულისხმიერი იქნები, ძნელია, თუ არ ხელგეწიფება ამგვარი მუშაობა.

ბევრი ვიფიქრე, აღმენიშნა თუ არა, რომ უკანასკნელ წლებში, ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა სამეცინიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ლაბორატორიების დევნამ ბიოლოგიის ფაკულტეტის, იმუნოგენეტიკის ლაბორატორიასაც ფინანსური პრობლემები შეუქმნა. მეცნიერ-ექსპერიმენტატორი ულაბორატორიოდ, ეს იგივეა როგორც კავკასიური რუხი ფუტკარი უსკოდ ან უფუღუროდ, სად აწარმოოს თაფლი?! იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის ამდაგვარმა ფუნქციორებამ, მეცნიერს ,,ხელ-ფეხი შეუკრა. მართალია, ადრე მიღებული გენეტიკურ-სელექციური შედეგები ჯერ კიდევ გასაანალიზებელია და იდეების შესაბამისად განზოგადებული, ზოგადბიოლოგიური თეორიებია შესაქმნელი, მაგრამ ბატონ ანზორში იმძლავრა ზეციურმა, კოსმიურმა ენერგიამ, ჭეშმარიტი მეცნიერებიდან ,,სულიერი მეცნიერების სამსახური დაეწყო, ,,მე ლექსებს ბავშვობაშიც ვწერდი.....ჩემს ხელთაა ცნობილი მეცნიერ-გენეტიკოსის და უმაღლესი სკოლის პედაგოგის — ლექტორის, ანზორ დიასამიძის ლექსების კრებული ,,სიცოცხლის უკვდავება. თუ ახლოს იცნობთ ავტორს — გენეტიკოს-ევოლუციონისტს, არ გაგიკვირდებათ, რატომ აქვს წიგნს ამგვარი სათაური, მასში კი თავიდანვე ჩვენი პლანეტის სიცოცხლის მრავალფეროვნების შემოქმედის-მშობლების, განსაკუთრებით კი დედის სახე სანიმუშოდაა დახატული:

,,თვით ღმერთმა შექმნა ეს ფენომენი,
რა საოცარი, რა აუხსნელი,
დედის გარეშე ჩნდება რაიმე?

ერთადერთია თან შეუცვლელი როგორც გენეტიკოსი და ადაფტოგენეზის მცოდნე ევოლუციონისტი, ,,სიცოცხლის ჯაჭვში წერს, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს გენს, ჯილაგს და მოდგმას:

,,ეს ჩვენი ჯიშის, ჯილაგის ჯაჭვი,
მწყობრი რიგია გენთა და სულთა,
მარადჟამ ყველგან ვუფრთხილდეთ ბაბუ,
ყოველი რგოლი რომ იყოს სუფთა"

ბატონმა ანზორმა იცის შეძენილი თვისების - შურიანობის ავკარგიანობა, რომ ის ადამიანის გარდა სხვა არცერთ არსებაში არ არის და გვმოძღვრავს:

,,კაცი თუ ხარ და ადამიანი,
უნდა შეგეძლოს დაძლიო ბოღმა,
სხვებში შენიშნო და დააფასო
უნარის, ნიჭის, ტალანტის ზომა"

კითხულობთ ლექსების კრებულს და გიკვირთ, მშობლიური მიწა, სოფელი და ბათუმი რაოდენ დიდი და ნაზი სიყვარულის გრძნობითაა აღწერილი:

„ვინ შეგარქვა ეგ სახელი,
ცინარეთი — მინდორს მზიანს,
მცინარეს და უხვ სტუმრიანს,
მკვიდრთა ბუდეს თავაზიანს"

ბათუმის სილამაზე-მოკაზმულობით აღფრთოვანებული ქალაქს მიმართავს:

"მაგნოლიაზე ფეთქვას ყვავილი,
კამელიები ვარდს ესვრის მზერას,
ცად თოლიები დანავარდობენ,
პალმა ფოთლიდან მარაოს კერავს"

განსაკუთრებული გულმხურვალობით, გულმკერდშედგმული უმღერის მშობლიურ მთიანეთს, აჭარას, საქართველოს. მათდამი მიძღვნილ სტრიქონებში ჩანს მგზნებარე სიყვარული:

,,მთავარია, რომ გიყვარდეს საქართველო
გმირთა მსგავსად, ყველა ვიყოთ მისი ღირსნი,
მარტო სიტყვით ნუ ვაქებთ და ნუ ვადიდებთ,
შრომით, ბრძოლით გავხდეთ ქომაგები მისი"

შესანიშნავი ქართულით მოსაუბრე მეცნიერი, ლექტორი, მშობლიური ენის ფასს სიგრძე-სიგანით გრძნობს, რომ ქართულმა ენამ გადაარჩინა საქართველო და მსოფლიო ანბანთა შორის ამას საგანგებოდ უმღერის:

,,მშობელი ენა, ბურჯია ერის,
ენა წინაპრის და შთამომავლის,
რწმენა, სიბრძნე და ჯანი ქართველის,
ნიჭი წარსულის, ბედი მომავლის"

გაეცნობით თუ არა ანზორ დიასამიძის მეცნიერულ თუ პროზაულ შემოქმედებას, ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ ის არის კოსმიური ენერგიის მტარებელი პიროვნება, რომელსაც თავისი სიცოცხლის გზაზე ნიჭით და სიბეჯითით ცხოვრების მწვერვალთა მწკრივში მრავალი პიკი დაულაშქრია.

ბატონმა ანზორმა თავისი სიბეჯითით ერთმანეთს შეუხამა, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა და ოჯახზე ზრუნვა. უხარია და ეამაყება კიდეც, რომ ასეთი ქართული ტრადიციის ოჯახი ჰყავს. დიახ, ზრუნავდა ოჯახზე, სტუმართმოყვარეობდა. მომისმენია, თუ როგორ ეპატიჟებოდა უფროს კოლეგას და მეგობარს, პროფესორ შოთა გოლიაძეს ჩაისუბანში მამისეული სახლის გვერდით, თითქმის მთლიანად მისი ხელით აგებულ და გაწყობილ სახლში: ,,წამობრძანდით ბატონო შოთა, მინდა გაჩვენოთ, როგორ მოვხატე პარკეტით სახლის იატაკი, მე თვითონ დავაგე ამ საუბარს რომ ვისმენდი, გამახსენდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, გერმანიაში, ქალაქ ჰალეს უნივერსიტეტში ყოფნისას პროფესორ ჟ. ეგერის მიერ მის სახლში შესვლისთანავე, სიხარულით და სიამაყით წარმოთქმული: ,,ეს დოლაბები, ფანჯრები და კარებიც ჩემი გაკეთებულია ვიფიქრე, როდის მოიცალა ამისათვის ჰალეს უნივერსიტეტის წამყვანმა პროფესორმა, ცენტრალური ევროპის ფლორის მრავალტომეულის მთავარმა რედაქტორმა-მეთქი. ყოველგვარი შრომის ფასი იციან ადამიანმა, ცნობილმა მეცნიერებმა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იციან დედამიწაზე ყველაზე საპატიო ინტელექტუალური შრომაა, ყველაზე ფასეულ ღირებულებად, პროდუქტი კი მეცნიერული ცოდნა.

ბატონი ანზორი დღეს გახარებულია, რომ მრავალსულიანი ოჯახის მთავარსარდალია. ამგვარი ოჯახის შექმნა მისი ცხოვრების მწვერვალთა შორის ბეჯითად დალაშქვრის მორიგი, მაგრამ მთავარი, ყველაზე მაღალი მწვერვალია. მეუღლე — ქალბატონი ნერმინ ბაკურიძე, პედაგოგია, ბიოლოგიის სპეციალობით ბათუმის №4 საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა. შვილები კახა —ეკონომისტია, ზაზა - იურისტი. რძალი, დიანა ფაღავა, ფრანგული ენის სპეციალისტია. მოღვაწეობს შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნვიერსიტეტში. მეორე რძალი თეონა გოგიტიძე — სამედიცინო განათლებითაა, ამჟამად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ხარკოვის ენდოკრინოლოგიური ცენტრის ასპირანტია, მალე კვალიფიკაციაამაღლებული დაუბრუნდება მშობლიურ ბათუმს. ბაბუა ანზორი, ოთხი — სამი ვაჟით და ერთი უმშვენიერესი ქალიშვილით ამაყობს. გენეტიკოსმა იცის, რომ შთამომავლობაში ის გენებია დომინანტი, რომლებიც წლების განმავლობაში ბატონდებიან ჯიშში და მაშასადამე, ბაბუას მათი კარგი სწავლით გაახარებენ; ისე, როგორც პატარა ანზორი თავისი სახელოვანი წინაპრებით გაამაყებულ საყვარელ დედას — ფატის ახარებდა.

ბატონო ანზორ! გილოცავთ ახალ 2014 წლის შემობრძანებას საქართველოში! ეს წელი თქვენთვის საიუბილეოა, 75 წელი გისრულდებათ. გისურვებთ დიდხანს „გეტრიალოთ" მშობლიურ უნივერსიტეტსა და ოჯახში.

მურმან დავითაძე,
ემერიტუსი პროფესორი

ქართული საახალწლო და საშობაო ზეპირსიტყვიერება

თინა შიოშვილი

საქართველოში, ისევე როგორც უძველესი კულტურის მქონე ყველა სხვა ქვეყანაში, ანიმისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შემუშავდა მრავალი რიტუალი, რომლებშიც წარმმართველი ფუნქცია ენიჭებოდა მაგიას. ამ რელიგიურ-რიტუალურ დღესასწაულთა დიდი ნაწილი სამეურნეო-აგრარული დანიშნულების იყო.

წეს-ჩვეულება ისტორიულ კატეგორიას განეკუთვნება, იგი საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იჩენს თავს და გარკვეულ საფეხურზე ქრება, ისტორიის არქივს გადაეცემა. ამ ბედს იზიარებს თვითონ წეს-ჩვეულების ამსახველი ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილიც; ცხადია, ყველაზე მაღალმხატვრული, ესთეტიკურად მნიშვნელოვანი და სოციალურად ღირებული კი მუდმივად განაგრძობს არსებობას.

სახალხო ჩვეულებებისა და დღესასწაულების დიდი ნაწილი ტრადიციულად წლის დროთა ბრუნვასთან იყო შეფარდებული და კალენდარული განრიგება ჰქონდა. ამგვარ დღესასწაულებს განეკუთვნება ეგრეთწოდებულ "უძრავი" სადღესასწაულო წეს-ჩვეულებები და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება, რომელთაც საწესჩვეულებო-კალენდარული ლექს-სიმღერების სახელწოდებით მოვიხსენიებთ და ეროვნული ზეპირსიტყვიერების არქაული და საინტერესო უბანია. ამათგან ჩვენი ხალხისათვის ტრადიციულად ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და წარმომადგენლობითია ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის დადგომის რიტუალები და მათთან დაკავშირებული ზეპირპოეტური შემოქმედება. ამ თვალსაზრისით ჩვენი ფოლკლორი დიდად არ გამმირჩევა მეზობელ მორწმუნე ხალხთა ფოლკლორისაგან. ახალი წლის ღამეს ყველა განსაკუთრებულ გუნებაზეა, ყველა ცდილობს, ქარსა და ნიავს გააყოლოს წინა წლის უსიამოვნებანი, უბედურებანი და მტრისგან მიყენებული ზიანი; ოჯახის თითოეულ წევრს, უფროს-უმცროსობის კვალობაზე, თავისი საზრუნავი გააჩნია.

საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა დროს იწყებოდა. ქრისტიანობამდე იგი 6 აგვისტოს დგებოდა, რაც ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე გრძელდებოდა. VII საუკუნიდან ბიზანტიურ-ქრისტიანულ ახალ წელს ვზეიმობდით სექტემბერში, რაც IX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ ჩვენში დამკვიდრდა მარტის წელიწადი, რაც X საუკუნის შუა წლებამდე გრძელდებოდა; შემდეგში თანდათანობით ფეხი მოიკიდა იანვრის წელიწადმა, რაც XIV საუკუნეში დამკვიდრდა და დღემდე გრძელდება.

ჩვენში გავრცელებული იყო ჩვეულება ახალი წლის დილით ოჯახში მეკვლის მისვლისა. მეკვლეს ოჯახში შეჰქონდა რიტუალური ხონჩა სურსათ-სანოვაგით, რიტუალური კვერებით ("კაცბასილებით") და ვაზის რქით. მას უნდა წარმოეთქვა საახალწლო მილოცვის ტექსტი, რომელსაც ხშირად ლექსითი ფორმა ჰქონდა. წარმოითქმებოდა, აგრეთვე, საახალწლო სადღეგრძელოები, რომელთა ნაწილი მესტვირეების მიერ არის შექმნილი. ოჯახის წინამძღოლი შინაური მეკვლეა. იგი ანთებული სანთლებითა და სამეკვლეო ხმიადით სამჯერ შემოუვლის სახლს, მერე შინაურებს მიუალერსებს, ყველა სულდგმულს ბედნიერებასა და გაძლიერებას უსურვებს.

ახალი წელი ყველა დღესასწაულზე უფრო მრავალმხრივაა გაფორმებული. ამ დღეობაში მინიატურულად ჩაქსოვილია ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრების ხანგრძლივი ისტორია; საახალწლო რიტუალი განპირობებული იყო ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებებით, რის გამოც ყველა ეპოქაში საახალწლო წეს-ჩვეულებებსა და მათთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა მაგიურ ელემენტებს: თოფის გასროლა, ჩიჩილაკი (პროფილაქტიური მაგია), მეკვლის მისვლა ოჯახში, ტკბილეულობის მომზადება (პროდუქტიული მაგია), საახალწლო ლექს-სიმღერები და დალოცვა-სადღეგრძელოები (სიტყვიერი მაგია) და ა. შ. ეს ყოველივე მიიჩნეოდა ამ ახალი წლის მანძილზე მატერიალური უზრუნველყოფისა და ბედნიერების უტყუარ საშუალებად. აი, რას ვკითხულობთ ერთ მესხურ საახალწლო დალოცვაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ "ივერიაში" (#1) 1888 წელს:

ახალ წელიწადს, წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა!
შენიმცა სახლი ამსილა
ტყავ-კაბა ზარბაბითამცა!
ცხენზედამც შეგისხდებიან
მშვილდ-ისრიანი ხმლითამცა,
კარზედაც მოგადგებიან
ცხენ-ჯორა მაფრაშითამცა;
ტახტზედამც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა!
მტერი სულ დაგიბრმავდების,
ეშმაკი — ხმელით-ცითამცა.
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე — მრავალ-გზითამცა;
პური-ღვინო ულეველი,
ვით მოდინარე წყლითამცა!
სიცოცხლე — გახარებული
მოუწყინარი დღითამცა!
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა!
უხვათამც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა!

ეს საახალწლო დალოცვა უფრო სამეფო კარზე წარმოსათქმელია, ვიდრე გლეხურ ყოფაში გამოსაყენებელი მიმართვა. ლექსის მასშტაბი და აქსესუარები უდავოდ სახელმწიფოებრივად ძლიერ ქვეყანას გულისხმობს, რომლის მეთაურსა და მმართველს უფრო შეეფერება ოქროს გვირგვინები. მნიშვნელოვნად განსხვავდება მეორე, გლეხურ წრეებში გავრცელებული დალოცვა:

შემოვდგი ფეხი, გილოცავ,
გწყალობდეს წმინდა ბასილი,
იმისი მადლი იყავით
პურით და ღვინით ავსილი!
ჩემს ნაფეხურსა კვალი ჩნდეს
წმინდისა ანგელოზისა...
მოვდივარ, მომიხარია,
მადლი უფლისა მიმიძღვის,
წმინდანნი ჩემთან არიან.
ხელში ტაბაკი მიჭირავს
სანთლებით გაჩაღებული,
ზედ აწყვია პური-ღვინო,
და გოზინაყი, ჩურჩხელა
და ერთი პატარა ტყვია.
ეს მოხვდეს ჩვენსა მშურველსა
და დაგვიმარცხოს მტერია!
გამრავლდეს ჩვენი ქვეყანა,
გამრავლდეს ჩვენი ერია!

დიდ ხალისსა და ელფერს აძლევს დღესაწაულს სახალხო შემსრულებელთა გამოჩენა. ამ მხრივ პირველ ადგილზე მესტვირეები გამოდიოდნენ; მათ სპეციალური სადღესასწაულო რეპერტუარი დაამუშავეს. სამწუხაროდ, ამ რეპერტუარის ძალიან მცირე ნაწილია შემორჩენილ-ფიქსირებული. მესტვირული დალოცვა, რომელიც 1947 წელს კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ ალმატშია დაფიქსირებული, ამგვარია:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა.
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა!
ნათლიმამა თან მოდგევდეს,
თაფლი მოჰქონდეს ქილითა,
ხურჯინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხელებით და ხილითა!
. . . . . .
თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და წმინდა ფქვილითა!
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ღვინითა!
თქვენი ფარეხი ყოფილა
სავსე და ცხვრისა ბინითა!
თქვენი გომური ყოფილა
სავსე და ძროხის ბინითა!
თქვენი მტერი წაქცეულა,
ვეღარა ძღება ძილითა!
ხალხი სუ ამოწყვეტოდა,
ეზიდებოდა ვირითა!
ვირი რო არ აძდიოდა,
ურმებს იჭერდა ქირითა.
მკვდარი არ გამალეოდა
მუდამ ორშაბათ დილითა!

ახალ წელს ოჯახში შემოსული მეკვლის დალოცვის ლექსებს საქართველოს ყველა კუთხე იცნობს. ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც თედო რაზიკაშვილმა ჩაიწერა ქართლში, ამგვარია:

ახალი წელი მოვიდა,
მოგვიკაკუნა კარები,
ყველა ვახაროთ ერთობლივ,
მტერს დავუყენოთ თვალები!

აკაკი შანიძის მიერ ხევსურეთში ჩაწერილ მეკვლის დალოცვაში, ტრადიციულ საახალწლო სურვილებთან ერთად, გამოთქმულია მტრის (ამ შემთხვევაში მოქიშპე ქისტების) განადგურების სურვილიც:

გამაგვეცალა, სწორებო,
დაგვიდგა ახალწელია!
დაგლოცნასთ ჯვარმა ყველანი,
არ მაგერიოსთ მტერია!
ყველკანამც გაგიმარჯვდებისთ,
ქისტებს ადინოთ მტვერია!

საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იცნობს მეკვლის დასალოც ტრადიციულ ტექსტს:

შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი!
ფეხი — ჩემი,
კვალი — ანგელოზისა!

ძველად საქართველოში, ყველა სხვა წარმართული ქვეყნების მსგავსად, საახალწლო რიტუალი მზის თაყვანისცემას უკავშირდებოდა; ამის ნიმუშია ჩიჩილაკი, რომელიც, როგორც მზის სიმბოლო, თავისი თეთრი, გრძელი და ხუჭუჭა ბურბუშელით, ქართული საახალწლო რიტუალის აუცილებელი ატრიბუტი იყო და ბოლო დრომდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს საახალწლო წეს-ჩვეულებებს.

ჩიჩილაკის გრძელი, თეთრი ბურბუშელა, რომელიც წარმართულ საქართველოში მზის სხივების სიმბოლო იყო, ქრისტიანობის შემდე წმინდა ბასილის წვერს დაუკავშირდა. ამ ბურბუშელაზე ხელის შეხებით საახალწლო მეკვლე ადამიანებს უსურვებდა ჯანმრთელობას, გამრავლებას, მოსავლის ბარაქიანობას. დასავლეთ საქართველოში, და მათ შორის აჭარაში, გავრცელებული იყო სამეკვლეო დალოცვა:

შემოვდგი ფეხი, გილოცავ,
გწყალობდეს წმინდა ბასილი!
იმისი მადლით იყავით
პურით და ღვინით ავსილი!

ახალი წლის მეორე დღე მთელს საქართველოში "დაკვებების" (ბედობის) დღედ ითვლებოდა; დასავლეთ საქართველოში კი 2 იანვარი ქათმების ფერხვის დღეა. "კარგი ფეხის" მქონე მეკვლე ამ დღეს ასე ილოცება:

ჯიჯი, ჯიჯი, დედალაო,
ჯიჯი, ჯიჯი, მამალაო!
ასი დედალი, ასი მამალი,
ასი მისი მოჩხოროზი!

აჭარაში გავრცელებული ტრადიციით, მფერხავი დალოცვის წარმოთქმისას საკენკს უყრის ქათმებს და შემდეგ ცარიელ კოთხოს თავზე ჩამოიცვამს — ქოჩორა ვარიები გამოვაო. ამ დღეს მფერხავი ოჯახში რჩება, რათა ქათმებმა შორს სიარული არ დაიწყონ; იგი ჯორკოზე ზის მთელი დღე, რათა კრუხი მყარად იჯდეს საბუდარზე.

ახალ წელს ტრადიციულად წინ უსწრებდა შობის დღესასწაული, რომელიც "ალილოობის" სახელითაა ცნობილი. ამ დღესასწაულს ქრისტიანი ერები, მათ შორის ქართველებიც, 25 დეკემბერს დღესასწაულობენ. ჩვენში ძველთაგან გავრცელებული იყო საშობაო სიმღერები, რასაც "ალილოს" უწოდებდნენ. საშობაო "ალილო" კარნავალური დღესასწაულია, რომლის დროსაც კარიკარ მოსიარულენი ხალხს წინდაწინ ულოცავდნენ ქრისტეს შობასა და ახალ წელს. "ალილოს" ასრულებდა ვაჟთა (როგორც მოზრდილების, ისე ბავშვების) გუნდი:

ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე დაბადებულაო, ალილო!
ღმერთმა ყველას გაგითენოთ
შობა-ახალ წელიწადი, ალილო!

ალილოს შემსრულებლები დახელოვნებულნი იყვნენ ტრადიციული სიმღერა-გალობის შესრულებაში. კარდაკარ ჩამოსვლისას მათი ხმა მთელ მხარეს ეფინებოდა. ზოგჯერ ერთსა და იმავე სოფელში მომღერალთა 2—3 ჯგუფი გამოჩნდებოდა. მეალილოეებს მოსახლეობა კეთილგანწყობით ხვდებოდა, ასაჩუქრებდნენ ხორაგეულით (მეტწილად კვერცხებით, რაც სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა), სასმელითა და ფულითაც. ზოგჯერ სახლშიაც შეიპატიჟებდნენ ან სამასპინძლოს ჭიშკარზე მოართმევდნენ. პურადი და უხვი მასპინძლები ალილოს ლექსებში საქვეყნოდაა შექებული, ხოლო ძუნწნი და ხელმოჭერილნი აუგად მოიხსენიებიან.

"ალილოს" ლექს-სიმღერებში კარდაკარ მოსიარულენი ტრადიციულად ერთად ულოცავდნენ ხალხს შობასა და ახალ წელს:

ჩიტი ღობეზე შემოჯდა,
იძახის ქიშმაშობასა,
ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს
ახალ წელს, ქრისტეს შობასა!

უფლის ძის ამქვეყნად მოვლინება, ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი მითოლოგიური პერსონაჟებისა თუ ეგრეთწოდებული კულტუროლოგიური გმირების უჩვეულო დაბადების დარად, ზებუნებრივ მოვლენად არის წარმოდგენილი. "ალილოს" მესხურ საგალობელში, რომელიც ახალი წლის წინ კარიკარ ჩამოვლით რიტუალში სრულდება, ნათქვამია:

ოცდახუთ ქრისტეშობასა
ქრისტე დაბადებულაო.
ბეთლემისა ქვებსა შინა
მარწეველნი არნევენო.
ტრედნიც ღუღუნს იტყვიანო,
ანგელოზნიც — გალობასა.

"ალილოს" საგალობელში, იესოს დაბადების სიხარულთან ერთად, რაც ხალხისათვის ამ დიადი დღესასწაულის მიხარება და მილოცვა იყო, ხაზგასმულია მახარობელთა დაჯილდოების აუცილებლობაც:

ოცდახუთ ქრიშობისთვესა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო.
ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაყე კალათასა,
ამოიღე ვერცხლის ფული,
დაგვირიგე ყველაყასა!

შობა დილას ან წინა საღამოს "ალილოზე" მავალთ ხალხი ასაჩუქრებდა ფულითა და სურსათ-სანოვაგით, უმეტესად — კვერცხით, რაც სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

ერთ-ერთი გურული საშობაო ლექს-სიმღერა შეიცავს როგორც მაცხოვრის შობის მიხარებას, ასევე — მეალილოეთა მიერ ხალხის დალოცვასა და საჩუქრის მოთხოვნის ტრადიციულ მოტივებს; აქვე ვხვდებით ქართული ხალხური საზღაპრო ეპოსისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დასასრულის ვარიაციას:

ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და
ჰა-ჰა-ჰა, ჰალილო!
ღმერთმა ისე აგაშენოთ,
როგორც შიოს მარანიო!
მოგცეთ შვიდი ვაჟიშვილი,
პირზე ჰქონდეთ ბალანიო!
ჰა-ჰა-ჰა, ჰალილო!
ალათასა ბალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა,
ამოვიღე შვიდი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა!
ჰა-ჰა-ჰა, ჰალილო!
მთაში ურემი გავთალე,
წამოვიდა გორებითა
შენი ოჯახი აივსოს
ფულითა და ქონებითა!
მასპინძელო, გამოგვხედე,
შობის მახარობელი ვართ!
არიელი, მარიელი,
ნუ გაგვიშვებთ ცარიელი!

პარალელიზმით შეკრული ტექსტის ("მთას ურემი გამოვჭერი...") მეორე ნაწილი მაჩვენებელია მისი ქრისტიანული წარმოშობისა; თავდაპირველად ის "ალილოს" საგალობელი იყო და შემდეგ დაუკავშირდა ზღაპარს დასასრული ფორმულის სახით.

იმერული "საშობაო ალილოს" ტექსტშიც ხაზგასმულია მასპინძელთა მიერ კარიკარ ჩამომვლელთა კვერცხით დასაჩუქრების აუცილებლობა:

ალათასა, მალათასა,
ხელი ჩავყავ კალათასა.
ჰაი, ჰაი, ჰაიმ ალილო!
ამოვიღე კვერცხის გული,
ყინვამ დამწვა ხელის გული.
ჰაი, ჰაი, ჰაი, ალილო!
მასპინძელო პაწიაო,
გამოგვხედე კარშიაო.
ჰაი, ჰაი, ჰაი, ალილო!
მატარებელი გაჩერდა,
შენი ოჯახი აშენდა!
ჰაი, ჰაი, ჰაი, ალილო დაა!

თუ მასპინძელმა არ გამოიხედა და ალილოს შემსრულებლები არ დაასაჩუქრა, ასე მიუმღერებდნენ:

მატარებელი გეიქცა,
შენი ოჯახი დეიქცა!
ჰაი, ჰაი, ჰაი, ალილო დაა!

თუკი მასპინძელი გამოხედავდა მეალილოეებს და სათანადოდაც დაასაჩუქრებდა, მიუმღერებდნენ:

მთაში ურემი გავთალე,
წამოვიდა გორებითა,
თქვენი ოჯახი აივსო
ფულითა და ქონებითა!
ჰაი, ჰაი, ჰაი, ალილო დაა!

ცნობილია, რომ ყოველი ბუნებრივი ფერი კონკრეტული მორალური თვისების მატარებელია. თეთრი, იგივე ნათელი, ღვთაებასთან ზიარებას, სიკეთეს აღნიშნავს. ერთ-ერთ საშობაო ლექს-სიმღერაში იესო ქრისტეს დაბადება "თეთრად გათენებას" ედრება:

აგაშენოთ!
ოცდახუთსა ამ თვესა
ქრისტე დაბადებულა, —
თეთრად გათენებულა!
თითო კვერცხი მოგვეცით,
კორკოტი შეგვაჭამეთ.

ცნობილი რაჭველი მესტვირის — ზაქარია ერაძისეულ ლექსში "ქვეყნად რო მობრძანდა" ვკითხულობთ:

ქრისტე რო ქვეყნად მობრძანდა,
ხუოდა მთა და ბარია,
თან ახლდნენ ანგელოზები,
უკრეს ბუკი და ზარია...

ქრისტეშობასთან დაკავშირებული ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ჯემალ ნოღაიდელის მიერ 1960 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში ჩაწერილი "ალილო". ეს საშობაო საგალობელი დასტურია იმისა, თუ რა დიდი და ძლიერია საშობაო ტრადიცია და — რა გამძლეა ამ რიტუალთან დაკავშირებული საგალობელი, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქრისტიან კუთხეში — "აჭარაში" შემორჩა:

ოი, ალილო,
მოგვილოცავს ქრისტეს შობა,
ოი, ალილო,
მოგვილოცავს ქრისტეს შობა,
ქრისტეს შობა ბეთლემსაო!
ნებაც იყოს მაღლა ღვთისა,
ნებითა თუ მშვიდობითა!
ალილო, ალილო, ალილო,
აქა მშვიდობა!

რეზო ჯაბნიძე - 60
გვახსოვს და გვეამაყება

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის პერიოდი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია ჩვენს ცხოვრებაში. ეს იყო უმაღლესი სასწავლებელი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, ეზო-კარმიოდამოთი და განსაკუთრებული დისცილინით. აქ გულგრილად ვერ ჩაუვლიდი თითოეულ ხეს თუ ბუჩქს, ყვავილებს, ყველა გვხიბლავდა თავისი ბუნებრივი სილამაზით და დაგაინტერესებდა მისი ტაქსონომიური განმარტებებით, რომელიც თითოეულ მცენარეზე სამ ენაზე იყო წაწერილი. ეს კი ახალგაზრდა სპეციალისტად აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო - იმ თვალსაზრისით, რომ თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობდა ხელს.

ეს ყველაფერი ინსტიტუტის მთელი კოლექტივის შრომით და ზრუნვით კეთდებოდა. რაშიც ჩვენ, სტუდენტებიც აქტიურად ვიყავით ჩართული. ამ შემოქმედების ინიციატორი და ხელმძღვანელი კი იყო თავად ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, რომელიც კოლექტივთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობდა. ესაა კიდევ ერთი მაგალითი იმისა თუ რა შეუძლია კომპეტენტურ ხელმძღვანელს, მის ორგანიზატორულ ნიჭსა და საერთო მონდომებას.

ჩვენი ინსტიტუტი გულს უხარებდა სტუმარსაც და მასპინძელსაც. დავამთავრეთ. გავიდა წლები. ყველანი ჩვენ-ჩვენს გზას დავადექით და ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა ინსტიტუტში გატარებული წლების სიკეთე და მომხიბვლელობა, რომელიც კეთილად გვემახსოვრება და ვეცდებით ასევე კეთილსინდისიერად, მაღალ პროფესიონალურად ვიღვაწოთ იმ საქმეთა შესასრულებლად, რაც ცხოვრებამ დაგვაკისრა. გვეამაყება, რომ დღეს ღირებულებათა გადაფასების დროში, როცა ბევრი ცხოვრებისეული პრობლემა იჩენს თავს რეზო ჯაბნიძის ნაირი ადამიანები მაინც კეთილსინდისიერად, ეროვნული ინტერესების შესაბამისად ემსახურებიან არჩეულ საქმეს, მეცნიერებას და ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს, გვჯერა ის კიდევ ბევრ წარმატებებს მიაღწევს, ამიტომაც ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ყოფილი სტუდენტები,
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები:
მანუჩარ ნიჟარაძე, ცირა ცეცხლაძე,
მამუკა გოგელია, მირანდა წეროძე,
არჩილ ძირკვაძე, ია მესხიძე,
ნატო ჯაბნიძე, ნანა კონცელიძე,
რუსლან დავითაძე

მან იცის რისთვის ცხოვრობს და შრომობს

ამას თამამად ვამბობთ ჩვენს მეგობარსა და კოლეგაზე პროფესორ რეზო ჯაბნიძეზე, რომელსაც რამდენიმე ათეული წელია ვიცნობთ და მასთან ერთად გვერდიგვერდ მოღვაწეობა, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა გვაძლევს იმის უფლებას, რომ გულითადად მოგილოცოთ საიუბილეო თარიღები და კიდევ უფრო დიდი წარმატებები ვუსურვოთ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

მისი მეცნიერული კვლევები, ნაშრომები მაღალ დონეზეა შესრულებული. მათში ჩანს ანალიტიკური აზროვნება, მიზანსწრაფულობა, პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი, რომელიც ემსახურება მშობლიური ერისა და ქვეყნის ინტერესებს.

აღსანიშნავია მისი პედაგოგიური ნიჭიც და გამოცდილებაც. ასეულობით ახალგაზრდა დააფრთიანა საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებიდან. მისი ხელმძღვანელობით ბევრმა ბრწყინვალედ დაიცვა არა თუ სადიპლომო, არამედ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. დღესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და აგრარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა. ბევრი მისი აღზრდილები დღეს სახელმწიფო თანამდებობებზეა, სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობს ან თავად ზრდის მომავალ სპეციალისტებს.

შესაშურია მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა, ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა და ორგანიზაციული მუშაობის სანიმუშო უნარი, რომლის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ მის ოჯახში ხუთი მეცნიერებათა დოქტორია.

გვიხარია, რომ კარგი მამულიშვილი, პრინციპული, უბრალოებით გამორჩეული პიროვნება და სიტყვის კაცი ხართ. ვამაყობთ, კოლეგად, თანამოაზრედ და მეგობრად რომ გვეგულებით. გილოცავთ საიუბილეო თარიღებს.

შენი კოლეგები და მეგობრები:
ოთარ შაინიძე
შოთა ლამპარაძე
ნუგზარ ზოსიძე
მერაბ მამულაძე
ზურაბ მახარაძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES OF GEORGIA

თბილისი, 0102, ი.ჯავახიშვილის ქ. №51
I.Javakhishvili str. №51 Tbilisi, 0102, Georgia
ტელ/ph/Fax (+99532) 296-03-00 ელ-ფოსტა/E-mail: gaas.georgia@gmail.com

8.01.14 № 01/01

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ
რეზო ჯაბნიძეს

ბატონო რეზო!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წელს.

თქვენ დაიბადეთ 1954 წლის 18 იანვარს ულამაზესი აჭარის ხელვაჩაურის რაიონის დაბა მახინჯაურში. 1970 წელს წარმატებით დაამთავრეთ მახინჯაურის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძეთ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. სტუდენტობის პერიოდში დიდი მონდომება და ნიჭი გამოამჟღავნეთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი აგრარული სფეროს მიმართულებით, აქტიურად მონაწილეობდით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით სწავლა გააგრძელეთ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი კიდევ უფრო დიდი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნეთ, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა თქვენმა საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა მამია გოგოლიშვილმა. შედეგად 1984 წელს დაიცავით საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს საოქტორო დისერტაციები. 1996 წელს მოგენიჭათ პროფესორის წოდება; 1995 წელს არჩეული ბრძანებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

თქვენი მოღვაწეობა ორ მიმართულებად იყოფა -სამეცნიერო - პედაგოგიურ და საზოგადოებრივ - სამეურნეო მოღვაწეობად. წლების განმავლობაში მუშაობდით სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობებზე. ხელმძღვანელობდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას, იყავით აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე, ხოლო შემდეგ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

1994 წლიდან თქვენ დაინიშნეთ ახლად დაარსებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად, სადაც ათი წელი იმუშავეთ. თქვენმა გამორჩეულმა შრომისმოყვარეობამ, აქტუალური პროლემების წარმატებით გადაწყვეტის უნარმა, სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლა - აღზრდაში მიღწეულმა შედეგებმა ჩაგაყენეს

თქვენ საქართველოს წამყვან აგრარულ მეცნიერ - პედაგოგთა რიგებში, რის შედეგად თქვენ გაგიცნეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

თქვენი მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული გაქვთ 120-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია და ოთხი სახელმძღვანელო: „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“, „ჩაი და ციტრუსები“, „სასოფლო - სამეურნეო ეკოლოგია“, „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, რომლებიც განკუთვნილია უმაღლესი განათლების აგრარული დარგის სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის, ასევე სოფლის მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტებისა და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. ნაშრომთა ნაწილი გამოცემულია უცხოეთშიც. ბრძანდებით 18 სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. 2012 წლიდან ბათუმის უნივერსიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არჩეული ხართ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მიზანმიმართული მუშაობის შედეგია ის, რომ ერთი წლის განმავლობაში 14 დოქტორანტს მიენიჭა აგრარულ დარგში აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომელთა შორის აჭარის ისტორიაში პირველად 12 ქალბატონია.

დიდ ყურადღებას უთმობთ ახალგაზრდა მეცნიერთა სწავლა - აღზრდის საქმეს. თქვენი ხელმძღვანელობით ექვსმა ასპირანტმა, მაძიებელმა და დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია, ხოლო ცხრა მაგისტრანტმა-სამაგისტრო ნაშრომი. ბრძანდებით ხუთი სამეცნიერო საერთაშორისო გამოცემების, ჟურნალების და ენციკლოპედია „აჭარა“ -ს სარედაქციო კოლეგიის წევრი. არჩეული ხართ სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად; ხშირად გიწვევენ საზღვარგარეთ საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომების შემფასებლად (ოპონენტად).

აქტიურ მონაწილეობას ღებულობთ საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც თქვენი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა;

თქვენი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. დაჯილდოვებული ბრძანდებით “ღირსების” ორდენით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სიგელით. ხართ ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქე.

ბატონო რეზო! თქვენ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით სავსე აგრძელებთ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მშობლიური ქვეყნის, ქართული აგრარული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

გახსენება

გივი ბოლქვაძე – ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ბოლქვაძე.

გივი ბოლქვაძე დაიბადა 1949 წლის 13 აპრილს, ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეებში .1967 წელს, საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ის ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის კიბერნეტიკის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1973 წელს და მიენიჭა ფიზიკოს-კიბერნეტიკოსის კვალიფიკაცია.

უმაღლესი განათლების მიღებისთანავე გივი ბოლქვაძე მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. სწორედ აქ გაატარა მან თავისი მოღვაწეობის საუკეთესო წლები და აქ წარმოაჩინა მთელი თავისი ცოდნა, უნარი და გამოცდილება. 1975 წლიდან ის ამ ინსტიტუტის მანქანური მოდელირების განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1980 - 2003 წლებში შემთხვევითი პროცესების თეორიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო 2003 წლიდან - სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი.

გივი ბოლქვაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რის შედეგიცაა უპირველეს ყოვლისა ის მაღალი კვალიფიკაცია, რომელსაც იგი დაეუფლა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მომზადებისა და დაცვის პროცესში. 1989 წლის 9 ოქტომბერს, ქ. მოსკოვში ყოფილი სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტში ის იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე ?რაწრფივი დინამიკური მართვის ობიექტების დისპერსიული იდენტიფიკაციის მეთოდების შემუშავება და კვლევა, რის საფუძველზე ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი,ხოლო ამავე ინსტიტუტში 2006 წლის 26 ივნისს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას0 თემაზე ?ექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების (მრეწველობაში) ავტომატიზაცია და მართვა და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გივი ბოლქვაძის მაღალ მეცნიერულ კვალიფიკაციას მიუთითებს აგრეთვე ისიც, რომ ის არის მრავალი საერთაშორისო აღიარების სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე. მისი ნაშრომები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში. მის მიერ მიღებულმა შედეგებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაწრფივი დინამიკური მართვის სისტემების შემდგომ განვითარებაში.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას გივი ბოლქვაძე აქტიურად უხამებდა პედაგოგიურ საქმიანობას, რომელსაც ის ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში .

ბატონი გივი აშკარად გრძნობდა, რომ თავის ქვეყანას უპირველესად აქ, ბათუმში ჭირდებოდა. იგი მუდმივად ფიქრობდა ბათუმის უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე. სამწუხაროა, რომ მას მრავალი საინტერესო გეგმის და ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დასცალდა. წავიდა ჩვენგან და თან გაიყოლა ბევრი აუსრულებელი ოცნება, დღენიადაგ მშფოთავი, მებრძოლი სული, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მომავლის რწმენა, რომლითაც იგი მუდამ იყო განმსჭვალული.

პროფ. გივი ბოლქვაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და სტუდენტების მეხსიერებაში.

ვლადიმერ ჭავჭანიძის
კიბერნეტიკის ინსტიტუტი

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა-მათემატიკის
და კომპიუტერულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობა
(მრავალფეროვნება, ტიპოლოგია, ეკოლოგია)

აჭარის ფლორისტული რაიონი მდებარეობს მსოფლიოში აღიარებული კავკასიის "ცხელი წერტილის" დასავლეთ კავკასიონის კორიდორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც გამოირჩევა რელიქტური კოლხური ფლორის და მათ შორის, კოლხეთის მთისა და მთისწინეთის ტენიანი ტყეების უნიკალური მრავალფეროვნებით, რომლის დაცვასა და შენარჩუნებას დღეს აჭარის დაცული ტერიტორიები ასრულებენ. აქ წარმოდგენილი ტყის მცენარეულობის მრავალფეროვნება და მისი ტიპოლოგიური და ეკოლოგიური ასპექტები ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მეცნიერ-მკვლევართა, ნატურალისტთა და მრავალრიცხოვან ბუნების მოყვარულთა დიდ ინტერესს.

ნაშრომში შესწავლილია კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ტყის ძირითადი ფორმაციების ფიტოცენოლოგიური და სახეობრივი მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა, სადაც ველურ ფლორაში გამოიყოფა ტყის მცენარეულობის 5 ფორმაცია, 25 ასოციაციების ჯგუფი, ტყის ფიტოცენოზის 35 ძირითადი ტიპი (ასოციაცია).

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის ანალიზიდან წარმოდგენილია 894 სახეობით, რომლებიც 116 ოჯახის 396 გვარში ერთიანდებიან, მათ შორის გვიმრანაირია 29 სახეობა-3,2%, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 18 გვარში. შიშველთესლოვანია - 5 სახეობა-0,6%, რომლებიც აქ წარმოდენილნი არიან 3 ოჯახით და 2 გვარით და ფარულთესლოვანი 100 ოჯახისა და 572 გვარით წარმოდგენილი 861 სახეობა-96,3%. მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნება, რაოდენობა და ურთიერთთანაფარდობის ბიოლოგიური სპექტრი **შემდეგნაირადაა წარმოჩენილი:**



მტირალს ეროვნულ პარკის ფლორის ანალიზიდან დაფიქსირებული 521 სახეობიდან გვიმრანაირია 25 სახეობა (4,8%), რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 16 გვარში. შიშველთესლოვანია 1 სახეობა (0,2%), და ფარულთესლოვანი 495 სახეობა (95%), რომლებიც 92 ოჯახსა და 288 გვარში ერთიანდებიან. მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნება, რაოდენობა და ურთიერთთანაფარდობის ბიოლოგიური სპექტრი **შემდეგნაირადაა წარმოჩენილი:**



კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ფლორაში განსაკუთრებული ადგილი ენდემურ ფლორას უჭირავს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ფლოროგენეზური პროცესების დადგენისათვის, რაც გზას გვიხსნის ფლორისა და მცენარეულობის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების შეცნობისაკენ.

ორივე ტერიტორიაზე ენდემური სახეობები შემდეგნაირად ნაწილდებიან:

ეკოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე აჭარის დაცულ ტერიტორიებზე შესწავლილია იშვიათი და ქრობადი სახეობების დაავადებები, რომელიც ბოლო წლეებში აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილ დაავადებებს შორის განსაკუთრებით საგანგაშოა ბზის კორომების მასობრივი ხმობა, რომლის დროსაც გამოვლინდა სნეულების შემდეგი სიმპტომები: ბზის ფოთლებზე გაჩნდა მუქი ყავისფერი ლაქები და მოშავო ზოლები, რის შედეგადაც დაიწყო ფოთლების ცვენა. ასეთი სიმპტომები აღენიშნებოდა მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული კოლხური ბზის (Buxus colchica), 70%-ს. ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაავადებას იწვევს სოკო ცყლინდროცლადუმ ბუხიცოლა. ბზის აღნიშნული დაავადება ცოტა მოგვიანებით, 2011 წლის შემოდგომაზე, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზეც გავრცელდა.

ასევე დღემდე საგანგაშოა დაცული ტერიტორიების წაბლნარების ფიტოსანიტარული მდგომარეობა. საკვლევი ტერიტორიის წაბლნარებში, ხეების დაახლოებით 75-80% გამხმარია. მთავარი მიზეზია ქერქის კიბო (ჩრყპჰონეცტრია პარასიტიცა).

ქერქის კიბოს გარდა დაცულ ტერიტორიებზე შემჩნეულია ასევე წაბლის ნაღმისებრი ჩრჩილი (ჩამერარია ოჰრიდელლა დესცჰკა). მწერის მატლი იკვებება წაბლის ფოთლებით. შემჩნეულია აგრეთვე ცაცხვისა და თელის ფოთლებზეც.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი მერქნიან მცენარეთა სახეობებიდან ჩრდილის ამტანია 10 სახეობა, სინათლის მოყვარულია 69, სითბოს მომთხოვნია 58, ყინვაგამძლეა 36, მეზოფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი საშუალო მოთხოვნილებისაა 23, ჰიგროფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი მომთხოვნია 2 სახეობა.

რეკომენდაციები

1. აჭარის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების და სამეურნეო ზონაში ტყის მცენარეულობის აღდგენა-განახლების გრძელვადიანი მიზნების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია კოლხეთის რეგიონისათვის დამახასიათებელი რელიქტური და ენდემური სახეობისათვის ზონალური სანერგე მეურნეობებისა და სადედე პლანტაციების მოწყობა ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, სტანდარტული სარგავი მასალის წარმოება და მათი პერიოდული რეპატრიაცია სტრუქტურადარღვეულ ტყის ეკოსისტემებში.

2. აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ძირითადი მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის უპირველეს და გადაუდებელ ღონისძიებებად მიგვაჩნია: გამხმარი ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა; ჩამოცვენილი ფოთლების, ყლორტების შეგროვება და დაწვა, ან ღრმად ჩამარხვა; დაავადებულ ადგილებზე ფუნგიციდების შესხურება; მიზანშეწონილია შესწავლილ იქნეს აღნიშნული დაავადებების განვითარების ციკლი და შემუშავდეს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები.

3. აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობის ბიოლოგიური მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო პოტენციალის უფრო ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება დაცული ტერიტორიების საზღვრებში ტურისტულ-საგანმანათლებლო ბილიკების და გადამფრენ ფრინველებზე სათვალთვალო კოშკების ქსელის გაფართოებაში; ტურისტული, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ინფორმაციების განახლებაში უახლოეს მონაცემებზე დაყრდნობით და მის ფართოდ გავრცელებაში.

4. აჭარის დაცული ტერიტორიების, როგორც გლობალური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა და ცხოველთა კონსერვაციის უმნიშვნელოვანესი ობიექტების შემდგომი ფუნქციონირების მთავარი მიზანია ველური ბუნების შენარჩუნება და მისი მართვა მინიმალური სამენეჯმენტო ჩარევით, რათა გარანტირებულ იქნეს ეკოსისტემების ფუნქციონირება, ეკოსისტემური პროცესების ბუნებრივი მიმდინარეობა.

რუსლან დავითაძე,
სოფლის მეურნეობის
აკადემიური დოქტორი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
ზოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში"
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7